

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ აქციონერსა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას,

შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ. ქვემოთ, თითოეული საკითხისთვის მოცემული განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩვენივე აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „*აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“, აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რითაც შევაფასებდით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები, წარმოადგენს თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი	როგორ მივუდექით ამ საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
საავადმყოფოებისა და კლინიკების შეფასება	
<p>2016 წლის განმავლობაში ჯგუფმა საავადმყოფოებისა და კლინიკების შესაფასებლად დაიწყო გადაფასების მოდელის გამოყენება. საავადმყოფოებისა და კლინიკების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, ჯგუფმა დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებელი. უძრავი ქონების შეფასებას ახასიათებს გაურკვეველობა და ეყრდნობა ვარაუდებს. ამასთან, ჯგუფის უძრავი ქონება საქართველოში მდებარეობს და მოიცავს ისეთ აქტივებს, რომელთა შემთხვევაშიც, შეფასება, საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის სპეციფიკის გამო, საჭიროებს არადაკვირვებადი ამოსავალი მონაცემების გამოყენებას, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს შეფასების შედეგებზე და, შესაბამისად, ჯგუფის გაცხადებულ კაპიტალსა და მოგებაზე. ეს შეფასებები, მათი დიდი მნიშვნელობისა და სუბიექტური ხასიათის გამო აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხია. ინფორმაცია საავადმყოფოებისა და კლინიკების შეფასების შესახებ ასახულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-8 შენიშვნაში „<i>ძირითადი</i>“</p>	<p>ჯგუფის მიერ საავადმყოფოებისა და კლინიკების შეფასების მართებულობის დასადგენად დავიხმარეთ უძრავი ქონების სპეციალისტები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ჩვენ შევაფასეთ ჯგუფის მიერ დაქირავებული გარე შემფასებლების კომპეტენტურობა და ობიექტურობა, • შეამოწმეთ საშემფასებლო ანგარიშებში გამოყენებული მეთოდები და დაშვებები და შემფასებლების მიერ მოწოდებული მონაცემები, <p>შევაფასეთ, რამდენადაა აღიარებული შეფასების შედეგები და ჯგუფის განმარტებითი შენიშვნები საავადმყოფოებისა და კლინიკების შეფასებასთან დაკავშირებით.</p>

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი	როგორ მივუდექით ამ საკითხს ჩვენი აუდიტის განმარტებაში
<p>საშუალებები“ და 31-ე შენიშვნაში „სამართლიანი ღირებულების შეფასება“.</p>	
<p align="center">ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება</p>	
<p>ჯგუფის მიერ 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის აღიარებულმა შემოსავალმა ჯანდაცვის მომსახურებიდან შეადგინა 243,453 ათასი ლარი. ჯგუფი საქართველოში ჯანდაცვის მომსახურების ერთ-ერთი უმსხვილესი მომწოდებელია. ჯანდაცვის მომსახურებიდან შემოსავალი მიიღება მომსახურების სხვადასხვა კლასტერისგან, ბევრი ინდივიდუალური გარიგების მეშვეობით. ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაცია ასახულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის დართულ მე-20 შენიშვნაში „შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან“.</p>	<p>ჩვენ გავეცანით ჯანდაცვის მომსახურებიდან შემოსავლის მიღების პროცესს და შევაფასეთ კონტროლის ძირითადი მექანიზმების ეფექტურობა. ჩავატარეთ ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის ძირითადი ტესტირება, მათ შორის ძირითადი მუხლების ტესტირება, რეპრეზენტატიული შერჩევა, ტესტირების სახელმძღვანელო, მაკორექტირებელი გატარებები და გატარებების შესაბამის პერიოდებში ასახვა. შემოსავლის აღიარების შესაფასებლად შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული გარიგებებისთვის ჩავატარეთ პროცედურები. ჩავატარეთ ანალიტიკური პროცედურები ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლისთვის უჩვეულო ტენდენციების გასათვალისწინებლად, მათ შორის ყოველთვიური ცვალეზადობის ანალიზი და ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის ძირითად წყაროებში ცვლილებების ანალიზი, როგორცაა საწოლების დატვირთვის მაჩვენებელი, პაციენტების რაოდენობა და საწოლების რაოდენობა. ასევე შევაფასეთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის წარდგენა და გაცხადება.</p>
<p align="center">საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება</p>	
<p>ჯგუფმა ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ზრდა და ცვლილებები განიცადა. 2016 წელს ჯგუფმა მთელი რიგი მსხვილი შესყიდვის გარიგება განახორციელა. სააღრიცხვო გათვლების, განსაკუთრებით შეძენილი აქტივების განსაზღვრისა და შეფასების, სირთულის, არამატერიალური აქტივების განსაზღვრისა და შეფასებაში და მარაგებისა და ძირითადი საშუალებების შეფასებაში ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენების, და ჯგუფის მოგებასა და ფინანსურ მდგომარეობაზე ამ გარიგებების გავლენის მნიშვნელობის გამო, ეს აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხია. ინფორმაცია საწარმოთა გაერთიანების</p>	<p>საწარმოთა გაერთიანება საწარმოთა ყოველი მნიშვნელოვანი გაერთიანებისთვის შევაფასეთ, რა მეთოდებსა და დაშვებებს ეყრდნობოდა ამოცნობადი შეძენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულებების განსაზღვრისთვის გამოყენებული განსჯა. შეძენილ საწარმოებში აქტივების გარკვეული კატეგორიების ღირებულების განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული მეთოდებისა და დაშვებების შესაფასებლად შეფასების სპეციალისტები დავიხმარეთ. გავანალიზეთ ხელმძღვანელობის მიერ ინდივიდუალურად ამოცნობადი შეძენილი</p>

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი	როგორ მივუდექით ამ საკითხს ჩვენი აუდიტის განმარტებაში
შესახებ შესულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში „საწარმოთა გაერთიანება“.	არამატერიალური აქტივების ხასიათისა და ღირებულების შეფასება. შემთხვევითობის პრინციპით შერჩევის გზით შევამოწმეთ შეძენილი შვილობილი კომპანიების აქტივები და ვალდებულებები. შევაფასეთ საწარმოთა გარკვეული გაერთიანებების შემთხვევაში ხელსაყრელი პირობებით შესყიდვისას მიღებული მოგების აღიარების მიზეზები. ასევე შევაფასეთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში საწარმოთა გაერთიანებების წარმოდგენა და გაცხადება.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ ხელმძღვანელობისა და აუდიტის კომიტეტის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ გამოვავქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ჯგუფი ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნესოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ აუდიტის კომიტეტს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ამასთანავე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ აუდიტის კომიტეტს წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში შეიძლება ექვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და, თუ შესაძლებელია, წარმოვადგენთ შესაბამის გარანტიებს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ აუდიტის კომიტეტისთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნით მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და, შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ, რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გადაწონის ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის მარჩელო გელაშვილი.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაი საქართველოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

2 მაისი, 2017 წ.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	1
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	2
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	6
2. მომზადების საფუძველი.....	8
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	28
5. საწარმოთა გაერთიანება.....	30
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	43
7. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები.....	43
8. ძირითადი საშუალებები.....	45
9. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები.....	47
10. გადასახადები.....	49
11. სხვა აქტივები.....	52
12. ნასესხები სახსრები.....	53
13. კრედიტორული დავალიანება.....	53
14. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები.....	54
15. ფინანსური იჯარის ვალდებულებები.....	54
16. აქციების შესყიდვებზე გადასახდელი ანგარიშები.....	54
17. სხვა ვალდებულებები.....	55
18. პირობითი ვალდებულებები.....	55
19. საკუთარი კაპიტალი.....	56
20. შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან.....	58
21. ჯანდაცვის მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები.....	58
22. სხვა საოპერაციო შემოსავალი.....	59
23. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი.....	59
24. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	60
25. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშებისა და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება.....	60
26. საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი.....	61
27. წმინდა არარეგულარული (ხარჯი) / შემოსავალი.....	61
28. წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია.....	62
29. კაპიტალის მართვა.....	63
30. რისკის მართვა.....	64
31. სამართლიანი ღირებულების შეფასება.....	74
32. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	77
33. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	79

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშ ვნები	31 დეკემბერი, 2016 წ.	31 დეკემბერი, 2015 წ.
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	11,177	51,034
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	7	86,590	71,348
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		14,712	10,791
გადახდილი ავანსები		24,914	6,118
ძირითადი საშუალებები	8	560,280	437,360
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	9	34,512	19,708
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები		889	806
სხვა აქტივები	11	30,900	14,958
სულ აქტივები		763,974	612,123
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	13	33,040	34,665
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები		14,150	17,679
აქციების შესყიდვებზე გადასახდელი ანგარიშები	16	3,197	22,075
ნასესხები სახსრები	12	156,177	104,901
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	14	36,024	35,537
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	15	14,878	-
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		257	5,227
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	10	-	17,631
სხვა ვალდებულებები	17	6,676	6,033
სულ ვალდებულებები		264,399	243,748
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	19	53,076	46,840
დამატებით შეტანილი კაპიტალი	19	274,129	230,454
სხვა რეზერვები	19	4,739	(15,372)
გაუნაწილებელი მოგება		111,487	50,453
კომპანიის აქციონერებისთვის განკუთვნილი მთლიანი კაპიტალი		443,431	312,375
არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის		56,144	56,000
სულ კაპიტალი		499,575	368,375
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		763,974	612,123

1-51 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ დირექტორთა საბჭოს მიერ 2017 წლის 2 მაისს და ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

ნიკოლოზ გამყრელიძე

2 მაისი, 2017 წ.

ირაკლი გოგია

2 მაისი, 2017 წ.

6-79 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

გენერალური დირექტორი

გენერალური დირექტორის მოადგილე
ფინანსური მიმართულებით

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	20	243,453	191,424
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	21	(130,369)	(107,291)
საერთო მოგება		113,084	84,133
სხვა საოპერაციო შემოსავალი	22	2,059	4,101
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	23	(20,977)	(22,097)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	24	(11,486)	(7,423)
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშებისა და			
სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება	25	(1,881)	(3,140)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(976)	(633)
		(35,320)	(33,293)
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე		79,823	54,941
ცვეთა და ამორტიზაცია	8,9	(18,287)	(11,973)
საპროცენტო შემოსავალი	26	773	901
საპროცენტო ხარჯი	26	(13,498)	(21,054)
წმინდა (ზარალი)/მოგება უცხოურ ვალუტიდან		(1,985)	380
წმინდა არარეგულარული შემოსავალი/(ხარჯი)	27	3,282	(959)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		50,108	22,236
მოგების გადასახადის სარგებელი	10	22,054	307
წლის მოგება		72,162	22,543
სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებში მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება: ქონების გადაფასება	11	20,804	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		92,966	22,543
წლის მოგება, განკუთვნილი:			
- კომპანიის აქციონერებისთვის		61,034	18,577
- არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის		11,128	3,966
წლის მთლიანი სრული შემოსავალი, განკუთვნილი:			
- კომპანიის აქციონერებისთვის		80,679	18,577
- არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის		12,287	3,966
შემოსავალი აქციაზე (წლის მოგება):			
- საბაზისო მოგება ერთ აქციაზე	19	1.16	0.64
- განზავებული მოგება ერთ აქციაზე	19	1.16	0.64
შემოსავალი აქციაზე (მთლიანი სრული შემოსავალი):			
- საბაზისო მოგება ერთ აქციაზე	19	1.54	0.64
- განზავებული მოგება ერთ აქციაზე	19	1.54	0.64

6-79 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნები	განკუთვნილი კომპანიის აქციონერებისთვის					არასაკონტროლო პაკეტი	სულ კაპიტალი
	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი შეტანილი კაპიტალი	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ		
1 იანვარი, 2016 წ.	46,840	230,454	(15,372)	50,453	312,375	56,000	368,375
წლის მოგება	-	-	-	61,034	61,034	11,128	72,162
სხვა სრული შემოსავალი	-	-	19,645	-	19,645	1,159	20,804
მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	19,645	61,034	80,679	12,287	92,966
საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი არასაკონტროლო პაკეტი	-	-	-	-	-	(1,025)	(1,025)
დამატებითი წილის შესყიდვა არსებულ შვილობილ კომპანიებში	19	-	466	-	466	(11,118)	(10,652)
საწესდებო კაპიტალის ზრდა საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის აქციების შესყიდვა	19	6,236	42,605	-	48,841	-	48,841
წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია	28	-	3,380	-	3,380	-	3,380
				111,48			499,57
31 დეკემბერი, 2016 წ.	53,076	274,129	4,739	7	443,431	56,144	5

6-79 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	განკუთვნილი კომპანიის აქციონერებისთვის							
	შენიშნულ საწესდებო ენები	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	სხვა რეზერვებ ი	გაუნაწილ ებელი მოგება	სულ	არასაკონ- ტროლო პაკეტი	სულ კაპიტალი
1 იანვარი, 2015 წ.		24,165	89,702	(16,626)	31,876	129,117	25,512	154,629
წლის მოგება		–	–	–	18,577	18,577	3,966	22,543
მთლიანი სრული შემოსავალი		–	–	–	18,577	18,577	3,966	22,543
საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი არასაკონტროლო პაკეტი		–	–	–	–	–	29,787	29,787
დამატებითი წილის შესყიდვა არსებულ შვილობილ კომპანიებში	19	–	–	1,254	–	1,254	(3,265)	(2,011)
პირდაპირ კაპიტალში ადიარებული გარიგების დანახარჯები	19	–	(1,414)	–	–	(1,414)	–	(1,414)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	19	22,675	141,367	–	–	164,042	–	164,042
წილობრივი ინსტრუმენტები თ კომპენსაცია	28	–	799	–	–	799	–	799
31 დეკემბერი, 2015 წ.		46,840	230,454	(15,372)	50,453	312,375	56,000	368,375

6-79 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2016 წლის 31 დეკემბრით შენიშნ ები	2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	214,965	171,743
ჯანდაცვის მომსახურების გადახდილი თვითღირებულება	(136,790)	(102,986)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(21,080)	(21,455)
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(16,248)	(8,793)
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,445	1,815
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	(936)	(3,096)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე	41,356	37,228
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,841)	(286)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	39,515	36,942
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		
შვილობილი კომპანიების შესყიდვა, მიღებული ნაღდი ფულის გამოკლებით	5 (24,827)	(57,523)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(104,001)	(67,204)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(9,353)	(2,869)
გაცემული სესხები	(39,270)	-
მიღებული სესხების დაფარვა	19,926	-
შესყიდული სესხები	(1,531)	-
მიღებული საპროცენტო სარგებელი	735	-
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	174	2,419
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(158,147)	(125,177)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	48,841	164,042
მშობელი კომპანიის აქციების პირველად განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯები	-	(1,386)
დამატებითი წილის შესყიდვა არსებულ შვილობილ კომპანიებში	(2,472)	(2,011)
ობლიგაციების გამოშვება	14 -	34,247
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა	(3,497)	-
აღებული სესხები	135,877	10,832
ნასესხები სახსრების დაფარვა	(85,427)	(78,591)
საკუთარი აქციების გამოსყიდვა	(2,310)	-
შემოსავალი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისგან	-	6,932
გადახდილი საპროცენტო ხარჯი	(15,883)	(22,977)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	75,129	111,088
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	3,646	2,595
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა	(39,857)	25,448
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	6 51,034	25,586
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	6 11,177	51,034

6-79 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2014 წლის 1 აგვისტოს დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია ვაჟა-ფშაველას გამზ. 40, თბილისი, საქართველო. კომპანია, ამ შენიშვნაში ნახსენებ შვილობილ კომპანიებთან ერთად, ქვემოთ მოიხსენიება, როგორც „ჯგუფი“ ან „ევექსი“.

2014 წელს სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგმა“ (შემდგომში „ალდაგი“) და მისმა შვილობილმა კომპანიებმა (შემდგომში „ალდაგი ჯგუფი“) განახორციელეს რეორგანიზაცია, რომ ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებისა და სამედიცინო დაზღვევის მიმართულებები გაემიჯნათ ქონებისა და სიცოცხლის რისკების დაზღვევის მიმართულებებისგან. 2014 წლის 1 აგვისტოსთვის ალდაგის სამედიცინო დაზღვევის სეგმენტი დანარჩენ მიმართულებებს გამოეყო და გადაეცა ახლად დაფუძნებულ იურიდიულ პირს - სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L-ს“. ამავდროულად, ალდაგის ჯგუფში შემავალი ჯანდაცვის პროვაიდერები გადაეცა ახალდაარსებულ ჰოლდინგურ კომპანიას - სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“.

ჯგუფი სამედიცინო მომსახურებას უწევს სტაციონარულ და ამბულატორიულ მომხმარებლებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული საავადმყოფოებისა და კლინიკების ქსელის მეშვეობით.

2016 წლის 31 დეკემბრისა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ევექსის 100%-იანი წილის მფლობელი იყო სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“). ეს უკანასკნელი არის ინგლისში, ლონდონში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ 100%-იან საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანია. ევექსის შედეგები კონსოლიდირდება საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებებში

2016 წლის 31 დეკემბრისა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ევექსის საბოლოო მშობელი კომპანიაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ბიჯეო ჯგუფი“ (შემდგომში „ბიჯეო“), რომელიც დაფუძნებულია ინგლისში, ლონდონში. ევექსის შედეგები კონსოლიდირდება ბიჯეოს ფინანსურ ანგარიშგებებში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ფაქტობრივი გარემოებები (გაგრძელება)

ჯგუფი მოიცავს საქართველოში დაფუძნებულ შემდეგ შვილობილ და მეკავშირე კომპანიებს:

შვილობილი კომპანია	წილობრივი მონაწილეობა/ზმს უფლება			დაფუძნების თარიღი	შექმნის თარიღი	იურიდიული მისამართი
	31-დეკ-2016	31-დეკ-2015	სფერო			
	სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ გნკო	100%	100%			
შპს „ნეფროლოგიის განვითარების კლინიკური ცენტრი“ მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა	50%	50%	ჯანდაცვა	4-ივნ.-01	5-აგვ.-2015	ქავჭავაძის გამზ. #16, თბილისი, საქართველო
შპს „დეკა“	40%	40%	ჯანდაცვა	28-სექტ.-10	5-აგვ.-2015	წინანდლის ქ.#9, თბილისი, საქართველო
შპს „ევექს-ლოჯისტიკა“	50%	50%	ჯანდაცვა	16-აპრ.-99	5-აგვ.-2015	წინანდლის ქ.#9, თბილისი, საქართველო
შპს „პედიატრიის ინსტიტუტი, ალერგიისა და რევმატოლოგიის ცენტრი“	95%	95%	ჯანდაცვა	12-იანვ.-12	30-ივნ.-15	ბახტრიონის ქ.#8ბ, თბილისი, საქართველო
შპს „პათოლოგიის რეფერალური ცენტრი“	100%	100%	ჯანდაცვა	13-თებ.-15	არა	ვაჟა-ფშაველას გამზირი #40, თბილისი, საქართველო
სს „წმ. ნიკოლოზის სახელობის ქირურგიული ცენტრი“	100%	100%	ჯანდაცვა	6-მარტ.-00	19-თებ.-14	ლუბლიანას ქ. #5, თბილისი, საქართველო
სს „ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი“	93%	93%	ჯანდაცვა	29-დეკ.-14	არა	ვაჟა-ფშაველას გამზირი #40, თბილისი, საქართველო
შპს „ა.კ. ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი“	67%	67%	ჯანდაცვა	10-ნოემბ.-00	20-მაის.-08	პაოლო იაშვილის ქ.#9, ქუთაისი, საქართველო
შპს „წყალტუბოს რაიონული საავადმყოფო“	67%	67%	ჯანდაცვა	5-მაის.-03	29-ნოემბ.-11	ჯავახიშვილის ქ. #85, ქუთაისი, საქართველო, 4600
შპს „უნიმედი აჭარა“	67%	67%	ჯანდაცვა	15-ოქტ.-04	29-ნოემბ.-11	ერისთავის ქ. #16, წყალტუბო, საქართველო
შპს „უნიმედი სამცხე“	100%	100%	ჯანდაცვა	29-ივნ.-10	30-აპრ.-12	ვაჟა-ფშაველას გამზირი #40, თბილისი, საქართველო
შპს „უნიმედი კახეთი“	100%	100%	ჯანდაცვა	29-ივნ.-10	30-აპრ.-12	ვაჟა-ფშაველას გამზირი #40, თბილისი, საქართველო
აიპ „ევექსის სასწავლო ცენტრი“	100%	100%	სხვა	20-დეკ.-13	20-დეკ.-13	ქავჭავაძის გამზ. #20, თბილისი, საქართველო
შპს „მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო“	100%	67%	ჯანდაცვა	20-დეკ.-13	20-დეკ.-13	ჯავახიშვილის ქ. #83ა, თბილისი, საქართველო
შპს „კატასტროფის მედიცინის პედიატრიული ცენტრი“	100%	100%	ჯანდაცვა	3-მაის.-11	19-თებ.-14	ლუბლიანას ქ. #2/6, თბილისი, საქართველო
შპს „ემერჯენსი სერვისი“	-	-	ჯანდაცვა	18-ივნ.-13	1-მარტ.-15	უ. ჩხეიძის ქ.#10, თბილისი, საქართველო
სს „ფოთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო“	-	-	ჯანდაცვა	28-ივლ.-09	20-მაის.-16	დ. უზნაძის ქ.#2, თბილისი, საქართველო
სს „პატჯეო“	-	-	ჯანდაცვა	29-ოქტ.-02	1-იანვ.-16	გუნის ქ. #171, ფოთი, საქართველო
სს „პედიატრი“	100%	-	ჯანდაცვა	13-იანვ.-10	1-აგვ.-16	მუხიანის II მიკრო-რაიონი, კორპუსი #22, 1ა, თბილისი, საქართველო
	76%	-	ჯანდაცვა	5-სექტ.-03	6-ივლ.-16	უ. ჩხეიძის ქ.#10, თბილისი, საქართველო

მეკავშირე კომპანია	წილობრივი მონაწილეობა / ზმის უფლება			დაფუძნების თარიღი	შექმნის თარიღი	იურიდიული მისამართი
	31-დეკ-2016	31-დეკ-2015	სფერო			
	შპს „გეოლაბი“	25%	25%			

* ჯგუფს დე ფაქტო კონტროლი აქვს შვილობილ კომპანიებზე (მე-5 შენიშვნა)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „ფასს“) და ფასს-ის ინტერპრეტაციების კომიტეტის (შემდგომში „ფაისკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, ძირითად საშუალებებზე კლასიფიცირებული საავადმყოფოებისა და კლინიკების და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გარდა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ საგანგებოდ არ არის სხვა რამე მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით, ჯგუფს შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი რესურსები, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

რეკლასიფიკაცია

2016 წლის განმავლობაში ჯგუფმა ქვედა ცხრილში მოცემული გარკვეული მუხლების მეტი სიზუსტით წარმოსადგენად ხელახლა განიხილა თავისი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების წარდგენა. შედარებადი ფინანსური მონაცემების წარდგენა დაკორექტირდა მიმდინარე პერიოდის თანხების წარდგენასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით:

<i>ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება</i>	<i>რეკლასიფი- კაციაზე</i>	<i>რეკლასიფი- კაცია</i>	<i>რეკლასიფი- კაციის შემდეგ</i>
სხვა აქტივები	25,749	(10,791)	14,958
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	-	10,791	10,791
სხვა ვალდებულებები	11,328	(5,295)	6,033
კრედიტორული დავალიანება	29,370	5,295	34,665

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება ჯგუფის 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულ პოლიტიკებს. ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ამ ცვლილებების ხასიათი და გავლენა აღწერილია ქვემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი სტანდარტები და ცვლილებები 2016 წელს პირველად შედის ძალაში, მათ არ აქვთ არსებითი გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ თითოეული ახალი სტანდარტისა და ცვლილების ხასიათსა და გავლენას.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ევექსისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევს, ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა მართოს);
- კომპანია იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან საკონტრაქტო გარიგებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები;

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

საჭიროების შეთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება. საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შესყიდვის მეთოდით. შესყიდვის ღირებულება გამოითვლება შემდეგი კომპონენტების დაჯგუფებით: შესყიდვის დღეს სამართლიანი ღირებულებით გადახდილი საფასური და შეძენილი კომპანიის უმცირესობის წილის მოცულობა. საწარმოთა გაერთიანების თითოეულ შემთხვევაში, ჯგუფი შეძენილი კომპანიის არასაკონტროლო პაკეტს აფასებს სამართლიანი ღირებულებით

ან ამოცნობადი წმინდა აქტივების პროპორციული წილის შესაბამისად, ხოლო არასაკონტროლო პაკეტის სხვა კომპონენტებს - მათი შეძენის თარიღისთვის არსებული სამართლიანი ღირებულებით. შესყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯების აღიარება ხდება მათი გაწვევისთანავე და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გუდვილის აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით, და ტოლია წმინდა ამოცნობადი შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების ღირებულების ზემოთ გადახდილი ნამეტი ღირებულებისა (სხვაობა უმცირესობის და მფლობელობაში ადრე არსებულ ნებისმიერ წილში გადახდილ და ნაკისრი ანაზღაურების ჯამს და წმინდა შეძენილ აქტივებსა და ნაკისრ ვალდებულებებს შორის). თუ შეძენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მეტია მთლიანად გადახდილ საზღაურზე, ჯგუფი ხელახლა აფასებს, სწორად ამოიცნო თუ არა ყველა შეძენილი აქტივი და ნაკისრი ვალდებულება და გადასინჯავს შეძენის თარიღისთვის ასაღიარებელი თანხების შესაფასებლად გამოყენებულ პროცედურას. თუ ხელახალი შეფასების შედეგად წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მაინც გადააჭარბებს მთლიანად გადახდილ საზღაურს, მაშინ ხდება მოგების აღიარება მოგებაში ან ზარალში.

როდესაც ჯგუფი შეისყიდის ბიზნესს, კლასიფიკაციის მიზნებისთვის აფასებს მის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შესყიდვის თარიღისათვის არსებული საკონტრაქტო ვალდებულებების, ეკონომიკური პირობებისა და მშობელი კომპანიის პირობების შესაბამისად. აღნიშნული მოიცავს შესყიდული კომპანიის მიერ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტების განცალკევებას ძირითად ხელშეკრულებებში.

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურება, რომელიც გადახდილ უნდა იქნას შემძენის მიერ, აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისათვის. პირობითი ანაზღაურება, რომელიც მოიაზრება აქტივად ან ვალდებულებად, წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს და შეესაბამება ბასს (IAS) 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“; ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სამართლიან ღირებულებაში შემდგომი ცვლილებები აისახება მოგებაში ან ზარალში, ან როგორც სხვა სრული შემოსავლის ცვლილება. იმ შემთხვევაში თუ პირობითი ანაზღაურება არ შეესაბამება ბასს 39-ს, იგი ფასდება შესაბამისი ფასს-ის მიხედვით. პირობითი ანაზღაურება, რომელიც კლასიფიცირდება კაპიტალად, არ გადაფასდება და შემდგომი ცვლილებებიც აღირიცხება კაპიტალში. იხილეთ მე-16 შენიშვნა.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან, მიმდინარე ანგარიშებისგან და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებისაგან, რომლებსაც აქვს განთავსებიდან სამი თვის ვადა, რომელთა კონვერტირებაც დაუყოვნებლივ შეიძლება წინასწარ ცნობილ

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ანგარიშები (გაგრძელება)

თანხად, აქვს ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკი და თავისუფალია სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასად, რომელიც ითვლება სამართლიან ღირებულებად წარმოქმნის თარიღისთვის. ამის შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რასაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ჯანდაცვისთვის მისაღები ანგარიშების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ გარკვეული მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შეიძლება ვერ მოხერხდეს, და გაუფასურების ზარალი აღირიცხება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები შესაბამისად კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მისაღებ ანგარიშებად, ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას. ჯგუფს არ აქვს გასაყიდად გამიზნული ან სამართლიანი ღირებულებით აღიარებული და მოგებაში ან ზარალში აღიარებული ფინანსური აქტივები.

ინვესტიციების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მათი შემენის ან წარმოშობის მიზანზე.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ამ ინვესტიციების აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს ინვესტიციის შესაძენად გადახდილი საზღაურის სამართლიან ღირებულებას. ინვესტიციის თვითღირებულებაში შედის მის შემენასთან უშუალოდ დაკავშირებული ყველა გარიგების დანახარჯი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ინვესტიციები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკის სამართავად ჯგუფი იყენებს სავალუტო ოფციონებს და ფორვარდულ კონტრაქტებს. ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება სამართლიანი ღირებულებით. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება, როგორც აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. წარმოებული კონტრაქტებიდან გამომდინარე მოგება და ზარალი აისახება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში უცხოური ვალუტებიდან მიღებული წმინდა მოგების/(ზარალის) ნაწილში.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვები

ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო დანაკარგებისა კრედიტზე, რომლებსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია), რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გაუფასურების ზარალის ოდენობის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული

დაგირავებული ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევიდან, რასაც აკლდება უზრუნველყოფის საგნის მიღებასთან და რეალიზაციასთან

დაკავშირებული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის საგნის გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა.

ჯგუფი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, ეს აქტივი შევა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ფინანსური აქტივების ეს ჯგუფი გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება ერთობლივად. აქტივები, რომელთა გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ შედის გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების ერთობლივად შეფასების პროცესში.

თუ მომდევნო პერიოდში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი შემობრუნების აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს მის ამორტიზებულ ღირებულებას შემობრუნების თარიღისთვის.

უიმედო აქტივი ჩამოიწერება გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან ყველა საჭირო პროცედურის ჩატარებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, თუ შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც დგება შემდეგი პირობები:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ჯგუფმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს ერთგვარი გარანტიის ფორმა გადაცემულ აქტივზე, რომელიც ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგებაში ან ზარალში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით. ჯგუფს არ გაუქვითავს თავისი აქტივები და ვალდებულებები, ან შემოსავალი და ხარჯები.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ჯგუფი წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს და საავადმყოფოებსა და კლინიკებს გადააფასებს სამართლიანი ღირებულებით საბალანსო ანგარიშის შედგენის ყოველი თარიღისთვის, თუ მათი სამართლიანი ღირებულება არსებითად განსხვავდება საბალანსო ღირებულებისგან. ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 31-ე შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედეგად:

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებით შეფასება (გაგრძელება)

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, საავადმყოფოებისა და კლინიკების გამოკლებით, აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. საავადმყოფოებისა და კლინიკების კატეგორიაში შედის შენობები და შესაბამისი მიწის ნაკვეთები, სადაც განთავსებულია რეფერალური საავადმყოფოები, ფართო პროვილიის საავადმყოფოები და ამბულატორიული კლინიკები.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით.

თვითღირებულებით პირველადი აღიარების შემდეგ საავადმყოფოები და კლინიკები აისახება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისათვის გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. შეფასება ტარდება იმდენად ხშირად (საბაზრო ღირებულების ცვლილების მონიტორინგი, მინიმუმ, წელიწადში ერთხელ ხდება), რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

თუ აქტივის საბალანსო ღირებულება გადაფასების შედეგად იზრდება, ამ ზრდის აღიარება უნდა მოხდეს სხვა სრულ შემოსავალში და უნდა იქნეს აკუმულირებული საკუთარ კაპიტალში, სხვა რეზერვების ნაწილში. თუმცა ზრდის აღიარება უნდა მოხდეს მოგებაში ან ზარალში იმდენად, რამდენადაც ის შეაბრუნებს იმავე აქტივის გადაფასებით გამოწვეულ და მოგებაში ან ზარალში მანამდე აღიარებულ შემცირებას. თუ აქტივის საბალანსო ღირებულება გადაფასების შედეგად შემცირდება, ამ შემცირების აღიარება უნდა მოხდეს მოგებაში ან ზარალში. თუმცა, შემცირების აღიარება სხვა სრულ შემოსავალში უნდა მოხდეს ამავე აქტივის გადაფასების შედეგად მიღებული ზედმეტობის ნაშთების ოდენობით, რომლებიც კრედიტის ნაწილშია გატარებული. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კლება ამცირებს საკუთარ კაპიტალში სხვა რეზერვების ნაწილში აკუმულირებულ თანხას.

გადაფასების დღისთვის დაგროვილი ცვეთა აკლდება აქტივის საბალანსო ღირებულებას და წმინდა თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული ღირებულების ოდენობით. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე. აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
საოფისე შენობები	100
საავადმყოფოები და კლინიკები	100
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	10
ავეჯი და მოწყობილობები	5-10
სამედიცინო აღჭურვილობა	5-10
კომპიუტერები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

დაუსრულებელი მშენებლობა მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ძირითადი საშუალების მშენებლობას, მათ შორის მშენებლობის დროს გაწეული შესაბამისად განაწილებული პირდაპირი ცვლადი ხარჯები და ფიქსირებული ზედნადები ხარჯები. ასეთი აქტივების ცვეთა, მსგავსი ძირითადი საშუალების ანალოგიურად, იწყება მაშინ, როდესაც აქტივები ექსპლუატაციისთვის მზად არის.

საიჯარო ქონების გაუმჯობესებების ცვეთა ხდება ათი წლის განმავლობაში ან შესაბამისი საიჯარო აქტივის მთლიანი ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი უფრო ხანმოკლეა. აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს სამედიცინო და არასამედიცინო მარაგებს და ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემენაზე გაწეულ დანახარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯსა და უცხოურ ვალუტაში მიღებული სესხებით გამოწვეულ საკურსო სხვაობებს იმდენად, რამდენადაც ისინი ითვლება საპროცენტო ხარჯების კორექტირებად.

ისეთი აქტივის შემენისთვის, აგებისა თუ წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხის მიღების ხარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც ამ აქტივის ღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა სახვა დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება წლის ხარჯად. სესხის მიღების ხარჯი შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც კომპანია გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის პირველადი აღიარებიდან ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ გარიგებაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის წელს იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც მოქმედებდა ან ამოქმედდა ანგარიშგების დღეს.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციებიდან შვილობილ კომპანიებში, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა გაკონტროლებულ იქნას დროებითი სხვაობის აღდგენის დრო და ახლო მომავალში მათი აღდგენა არ არის მოსალოდნელი.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადასახადები (გაგრძელება)

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს. ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შექმნილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების 4-10 წლიანი ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

კომპიუტერული პროგრამების მართვასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწვევისთანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ხარჯები (დაკავშირებული ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებასა და დიზაინთან) აღიარებულია, როგორც არამატერიალური აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის სურვილი და ტექნიკური უნარი იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება თუ გაყიდვა, აგრეთვე აქტივს შეეძლოს სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოტანა განვითარების ხარჯების გათვალისწინებით. უნდა არსებობდეს რესურსები პროცესის ბოლომდე მიყვანისთვის და შესაძლებელი იყოს განვითარების ხარჯების სანდოდ შეფასება. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე გაწეული სხვა დანახარჯების აღრიცხვა მათი გაწვევისთანავე ხდება სხვა ხარჯების ნაწილში.

სარეზერვო და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

თუ ჯგუფი მოელის ანარიცხების ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო კონტრაქტის საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მიღება ფაქტობრივად გადაწყვეტილია.

წილობრივი ინსტრუმენტებით ანაზღაურების გარიგებები

ჯგუფის წამყვანი ხელმძღვანელობა ანაზღაურებას იღებს წილობრივი ინსტრუმენტებით, რა შემთხვევაშიც თანამშრომლები მომსახურებას სწევენ ბიჯეოს ან საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ. ბიჯეოსა და საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის მიერ გამოცხადებული

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

წილობრივი ინსტრუმენტებით ანაზღაურების გარიგებები (გაგრძელება)

წილობრივი ინსტრუმენტებით ანაზღაურების სქემა წარმოდგენილია წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გადახდის გარიგებებით. წილობრივი ინსტრუმენტებით ანაზღაურების აღიარება ხდება კაპიტალის სახით, კაპიტალში პირდაპირ დაკრედიტებით.

წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების ოპერაციები

თანამშრომლებთან წილობრივი ინსტრუმენტებით განხორციელებული ოპერაციების ხარჯი ფასდება ოპერაციის თარიღისთვის გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების ოპერაციების ღირებულების აღიარება, დამატებით შეტანილი კაპიტალის შესაბამის ზრდასთან ერთად, ხდება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესრულდა სამუშაო და/ან გაიწია მომსახურება, დასრულებული იმ თარიღით, როდესაც შესაბამის თანამშრომლებს სრულად გადაეცა აქციების ფლობის უფლება (შემდგომში „უფლების გადაცემის თარიღი“). უფლების გადაცემის თარიღამდე ანგარიშგების შედგენის ყოველი თარიღით აღიარებული წილობრივი ინსტრუმენტებით განხორციელებული ოპერაციების მთლიანი ხარჯი აისახება უფლების გადაცემის პერიოდის ამოწურვის პროპორციულად და წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც, ჯგუფის შეფასებით, გაიცემა უფლების გადაცემის თარიღისთვის. კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის დანარჩენი მოცემული პერიოდისთვის წარმოადგენს ამ პერიოდის დასაწყისში და დასასრულს აღიარებული მთლიანი ხარჯების მოძრაობას.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია, როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღრიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტებისა და სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაში შესული პროცენტული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ევექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ევექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების სავარაუდო შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები მოგებაში ან ზარალში შედის ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს მაშინ, როდესაც შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია და მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს. შემოსავალი წარმოდგენილია კორექტირებების და ფასდაკლებების გათვალისწინების გარეშე, რომლებიც კონტრაქტებთან (ძირითადად, სახელმწიფოსთან) დეტალური ანგარიშების შეჯერების შედეგად წარმოიშობა. შემოთავაზებულ კორექტირებებსა და ფასდაკლებებს განსაზღვრავენ კლიენტები (ძირითადად, სახელმწიფო), მხოლოდ ჯგუფის მიერ წარდგენილი ანგარიშფაქტურების ოფიციალური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე ან შემდეგ. ამის შემდეგ შემოთავაზებულ კორექტირებებს ჯგუფი განიხილავს შესაბამის კონტრაქტებთან. მხარეები ან თანხმდებიან კორექტირებებზე და აღიარებენ მათ, ან დავობენ, ზოგჯერ სასამართლოშიც კი. კორექტირებები და ფასდაკლებები შეიძლება მოხდეს მხოლოდ ჯგუფის მიერ ანგარიშფაქტურის ოფიციალური წარდგენისა და კონტრაქტის მიერ ანგარიშფაქტურის ოფიციალური მიღების შემდეგ. ჯგუფის მთლიანი შემოსავალი (კორექტირებებისა და ფასდაკლებების გამოკლებამდე) ეყრდნობა ოფიციალურ ანგარიშფაქტურებს, რომლებიც წარდგენილია და ოფიციალურად მიღებულია კლიენტების (სახელმწიფო, სადაზღვევო კომპანიები, პროვაიდერი კლინიკები და ფიზიკური პირები) მიერ და დანარიცხებს გაწეულ მომსახურებაზე, რომლებისთვისაც ჯერ ანგარიშფაქტურები არ გამოწერილა.

შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან (გაგრძელება)

ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურებისთვის მიღებული ან მისაღები სახალისო სამართლიან ღირებულებას, და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- ჯანდაცვის მომსახურების შემოსავალი სახელმწიფოსგან - ჯგუფი სახელმწიფო პროგრამით დაზღვეული პირებისგან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულებისა და კონტრაქტებს შორის შეთანხმებული პირობების საფუძველზე.
- ჯანდაცვის მომსახურების შემოსავალი სადაზღვევო კომპანიებისგან - ჯგუფი სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ დაზღვეული პირებისგან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულებისა და კონტრაქტებს შორის შეთანხმებული პირობების საფუძველზე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

- ჯანდაცვის მომსახურებიდან თანაგადახდის და სხვ. შედეგად მიღებული შემოსავალი - ჯგუფი დაუზღვეველი პირებისგან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულებისა და ჯგუფის მიერ დამტკიცებული ფასების საფუძველზე. გაყიდვებიდან შემოსავალი მიიღება ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათით. სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული სხვა შემოსავალი მოიცავს შემოსავალს მუნიციპალიტეტებიდან და სხვა საავადმყოფოებიდან, რომლებთანაც ჯგუფს სახელშეკრულებო ურთიერთობა აქვს. მომსახურების გაყიდვის აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც გაიწია მომსახურება და იანგარიშება სახელშეკრულებო ტარიფების მიხედვით.

ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება

გაწეული ჯანდაცვის მომსახურების ღირებულება წარმოადგენს გაწეული ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის სამედიცინო პერსონალის ხელფასებსა და გასამრჯელოს, მასალებსა და მარაგებს, კომუნალური მომსახურებისა და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

ჰეჯირების აღრიცხვა

ჯგუფმა ბასს 39-ის თანახმად გამოიყენა სამართლიანი ღირებულების ჰეჯირების აღრიცხვა თავისი ძირითადი საშუალებებიდან ორი აქტივის უცხოური ვალუტის კომპონენტისთვის. ბასს 39.82 არაფინანსური მუხლებისთვის ჰეჯირების უფლებას იძლევა ან: (ა) სავალუტო რისკებისთვის, ან (ბ) მთლიანად, ყველა რისკისთვის. ლარში უძრავი ქონების ფასებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ აშშ დოლარი-ლარის სავალუტო კურსს შორის მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულების გამო, იმ დაშვებით, რომ სხვა ფაქტორები მუდმივია, ჩვენ მივიჩნით აშშ დოლარში გამოხატული ნასესხები სახსრები ჰეჯირების ინსტრუმენტებად, ხოლო ძირითადი საშუალებების ფასის ცვლილების უცხოური ვალუტის კომპონენტები - ჰეჯირებულ მუხლად. ჯგუფი აგრძელებს ჰეჯირების ეფექტურობის შეფასებას ყოველკვარტალურად. თუ ჰეჯირების ეფექტურობის პირობები შენარჩუნდება და ჰეჯირება ეფექტური აღმოჩნდება, ჰეჯირებული უძრავი ქონების ღირებულებაში აშშ-ის სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული ყოველგვარი ზრდა (შემცირება) გაიქვითება აშშ-ში გამოხატული ნასესხები სახსრების ეკვივალენტური ზრდით (შემცირებით). თუ ჰეჯირება ნაწილობრივ არაეფექტური აღმოჩნდება, ამ თანხებს შორის სხვაობის წმინდა ოდენობის აღიარება მოხდება მოგებაში ან ზარალში, უცხოური ვალუტიდან მიღებულ წმინდა (ზარალში)/მოგებაში. ამ უკანასკნელი სხვაობის აღიარებას ზოგადად ჰეჯირების არაეფექტურობის შეფასებას უწოდებენ. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰეჯირების ინსტრუმენტებად მიჩნეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება გაუტოლდა 15,629 ლარს. ასევე გავითვალისწინეთ ფასს 9-ის ქვემოთ მოყვანილი მოთხოვნები.

შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ჯგუფი ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე. ჯგუფი ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიცირებასა და გაცხადებას. არარეგულარული ხასიათისა შეიძლება ნებისმიერი ტიპის შემოსავალი ან ხარჯი იყოს. ჯგუფი წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან და წმინდა არარეგულარული (ხარჯი)/შემოსავალი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

წმინდა არარეგულარული ხარჯი / შემოსავალი

ჯგუფი ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიცირებასა და გაცხადებას. არარეგულარული ხასიათისა შეიძლება ნებისმიერი ტიპის შემოსავალი ან ხარჯი იყოს. ჯგუფი არარეგულარულ შემოსავალს ან ხარჯს განსაზღვრავს, როგორც უჩვეულო ეკონომიკური, ბიზნესის ან ფინანსური მოვლენის შედეგად განპირობებულ ან მისგან გამომდინარე შემოსავალს ან ხარჯს, რომელიც არ არის ჯგუფის ჩვეულებრივი და რეგულარული საქმიანობისთვის დამახასიათებელი და გამოწვეულია წინასწარ გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი გარე ფაქტორებით.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ჯგუფის წარსადგენი ვალუტა და ჯგუფის ყველა კომპონენტის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღრიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალის ნაწილში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და ოპერაციის დღეს სებ-ის გაცვლით კურსს შორის სხვაობები კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში ასახულია სავალუტო ოპერაციებიდან მიღებულ წმინდა ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, იყო 2.6468 და 2.3949 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებაში.

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

ჯგუფისათვის აქტუალური სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე (გარდა ფასს 15-ისა, რომლის მიღებასაც ჯგუფი 2017 წლის 1 იანვარს აპირებს).

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში ბასს-მა გამოუშვა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ საბოლოო ვერსია, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა მანამდე არსებულ ვერსიას. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულო რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები, როგორც წესი, პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული იშვიათი გამონაკლისებით. ფასს 9-ის მიღება იმოქმედებს ჯგუფის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე, მაგრამ გავლენას არ იქონიებს ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გაგრძელება)

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ჯგუფი არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავის ბალანსზე თუ კაპიტალზე კლასიფიკაციისა და შეფასების შესახებ ფასს 9-ის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში. იგი აპირებს, გააგრძელოს ყველა ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულებით შეფასება, რომლებიც ამჟამად სამართლიანი ღირებულებითაა მის მფლობელობაში. ეს ცვლილებები გავლენას მოახდენს ჯგუფზე იმისდა მიხედვით, თუ რა ოდენობის ფინანსური აქტივი და ვალდებულებაა ამჟამად აღრიცხული ამორტიზებული ღირებულებით.

(ბ) გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, ჯგუფს ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა თავის ყველა სავალლო ფასიან ქაღალდზე, სესხსა და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე, 12 თვიანი პერიოდისთვის ან მათი მთლიანი ვადისთვის. ჯგუფი აპირებს გამარტივებული მიდგომის გამოყენებას და ყველა სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე მოსალოდნელი დანაკარგების აღრიცხვას მათი მთლიანი ვადისთვის. ჯგუფი არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავის კაპიტალზე, თავისი მოთხოვნების შედარებით მოკლევადიანი ხასიათის გამო, მაგრამ გავლენის მასშტაბის დასადგენად მას დასჭირდება დამატებითი დეტალური ანალიზის ჩატარება, რომელიც გაითვალისწინებს ყველა გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, საპროგნოზო ელემენტების ჩათვლით.

(გ) ჰეჯირების აღრიცხვა

ჯგუფს მიაჩნია, რომ ყველა არსებული ჰეჯირების ურთიერთობა, რომლებიც ამჟამად მიეკუთვნება ჰეჯირების ეფექტური ურთიერთობის კატეგორიას, მაინც წარმოადგენს ჰეჯირების აღრიცხვას ფასს 9-ის მიხედვით. ფასს 9-ით არ იცვლება საწარმოს მიერ ეფექტური ჰეჯირების აღრიცხვის წესის ზოგადი პრინციპები, ამიტომ ჯგუფი არ მოელის ფასს 9-ის შემოღების შედეგად მის მნიშვნელოვან გავლენას. მომავალში ჯგუფი უფრო დეტალურად შეაფასებს შესაძლო ცვლილებებს, რომლებიც უკავშირდება ოფციონების დროითი ღირებულების, ფორვარდული პუნქტების ან ვალუტის საბაზისო სპრედის აღრიცხვას.

ფასს (IFRS) „გადავადების მარეგულირებელი ანგარიშები“

ფასს 14 არის ნებაყოფლობით გამოსაყენებელი სტანდარტი, რომელიც საწარმოს, რომლის საქმიანობაზეც ვრცელდება ტარიფების რეგულირება, საშუალებას აძლევს, გააგრძელოს არსებული სააღრიცხვო პოლიტიკის დიდი ნაწილის გამოყენება გადავადების მარეგულირებელი ანგარიშების ნაშთებისთვის, ფასს-ის პირველად გამოყენებისას. საწარმოებმა, რომლებიც გამოიყენებენ ფასს 14-ს, გადავადების მარეგულირებელი ანგარიშები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე მუხლად უნდა წარმოადგინონ და ასახონ ამ ანგარიშებზე არსებული ნაშთების მოძრაობა ცალკე მუხლად მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებში. სტანდარტით სავალდებულოა საწარმოს ტარიფების რეგულირების ხასიათისა და მასთან დაკავშირებული რისკების, ასევე მის ფინანსურ ანგარიშგებაზე ტარიფების რეგულირების გავლენის გაცხადება. ფასს 14 ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. რადგან ჯგუფი ანგარიშგებას არსებული ფასს-ის მიხედვით ამზადებს, ეს სტანდარტი მასზე არ ვრცელდება.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

შემოსავლების ახალი სტანდარტი ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც. ჯგუფი ახალი სტანდარტის გამოყენებას ვადაზე ადრე, 2017 წლის 1 იანვრიდან, აპირებს მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენების მეთოდის საფუძველზე. 2016 წლის განმავლობაში ჯგუფმა წინასწარ შეაფასა ფასს 15, რომელიც დაექვემდებარება ცვლილებებს უფრო დეტალური, მიმდინარე ანალიზის პროცესში.

(ა) ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები შემოსავალი

ფასს 15-ის გამოყენებისას ჯგუფმა გაითვალისწინა შემდეგი:

(i) ცვალებადი ანაზღაურება

სახელმწიფო და სადაზღვევო კომპანიებისთვის გაგზავნილ ანგარიშფაქტურებს წინასწარ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში კონტრაქტები აკორექტირებენ არსებითი ან ტექნიკური შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში. დღესდღეობით, ჯგუფი კორექტირებებისა და ფასდაკლებების ეფექტს აღიარებს მაშინ, როდესაც კორექტირებულ ანგარიშფაქტურებს იღებს. ფასს 15-ის მიხედვით, სავალდებულოა სავარაუდო ცვალებადი ანაზღაურების შეზღუდვა შემოსავლის გადაჭარბებით აღიარების თავიდან ასაცილებლად. ფასს 15-ის მოთხოვნების გამო, ანგარიშფაქტურების კორექტირებები ექცევა ფასს 15-ის მიხედვით ცვალებადი ანაზღაურების განმარტებაში და სავალდებულოა მათი სავარაუდო შეფასება ხელშეკრულების გაფორმებისას. გამომდინარე იქიდან, რომ კორექტირებული ანგარიშფაქტურები ზოგჯერ სამი თვის დაგვიანებით მიიღება, სავარაუდო შეფასება საჭიროა. ჯგუფის შეფასებით, 2017 წელს კორექტირებების ეფექტი დაახლოებით 1,049 ლარს შეადგენს.

(ii) სავარანტიო ვალდებულება

თავისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ჯგუფი კლიენტებს გარანტიას არ სთავაზობს.

(ბ) მომსახურების გაწევა

ჯგუფი კლიენტებს ჯანდაცვის მომსახურებას უწევს. ჯგუფის შეფასებით მომსახურების მოთხოვნა კმაყოფილდება დროთა განმავლობაში, თუ მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს ჯგუფისგან მიღებულ სარგებელს. შესაბამისად, ჯგუფი არ მოელის ამ მომსახურების ხელშეკრულებებიდან რამე მნიშვნელოვან გავლენას ექნება ფასს 15-ის მიღების შედეგად.

(გ) მომხმარებლებისაგან მიღებული აღჭურვილობა

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“ (გაგრძელება)

როდესაც საწარმო მიიღებს არაფულად ანაზღაურებას, ან მოელის არაფულადი ანაზღაურების მიღებას, ფასს 15-ის მოთხოვნის თანახმად, არაფულადი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება უნდა აისახოს გარიგების ფასში. საწარმოს მოუხდებოდა არაფულადი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების შეფასება ფასს 13-ის „სამართლიანი ღირებულების შეფასება“ შესაბამისად. ჯგუფი არ მოელის, რომ ფასს 15-ს ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გავლენა ექნება.

ცვლილებები ფასს (IFRS) 11-ში „ერთობლივი საქმიანობა: წილების შეძენის აღრიცხვა“

ფასს 11-ში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ერთობლივი საქმიანობის მონაწილემ, რომელიც აღრიცხავს ერთობლივ საქმიანობაში წილის შესყიდვის ოპერაციას, სადაც ერთობლივი საქმიანობა წარმოადგენს ბიზნესსაქმიანობას, უნდა გამოიყენოს ფასს 3-ის საწარმოთა გაერთიანების ბუღალტრული აღრიცხვისთვის შესაბამისი პრინციპები. ცვლილებები ასევე განმარტავს, რომ ერთობლივ საქმიანობაში წარსულში არსებული წილი არ ექვემდებარება გადაფასებას, იმავე ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში დამატებითი წილის შესყიდვისას, როდესაც ხდება ერთობლივი კონტროლის შენარჩუნება. ამასთანავე, ფასს 11-ს დაემატა გამონაკლისები, რომლებიც ხაზს უსვამენ, რომ ეს ცვლილებები არ გამოიყენება, როდესაც მხარეები, რომლებიც ინაწილებენ ერთობლივ კონტროლს, მათ შორის ანგარიშგებელი ერთეული, ექვემდებარებიან ერთი და იმავე საბოლოო მაკონტროლებელი მხარის საერთო კონტროლს. ცვლილებები ეხება როგორც პირველადი წილის შესყიდვას საერთო ოპერაციაში, ისე ნებისმიერი დამატებითი წილის შესყიდვას იმავე საერთო ოპერაციაში და გამოიყენება პერსპექტიულად, 2016 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე დანერგვა და გამოყენება. ამ ცვლილებებს სავარაუდოდ გავლენა არ ექნება ჯგუფზე.

ცვლილებები ბასს (IAS) 16-სა და ბასს (IAS) 38-ში: ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვის მისაღები მეთოდების დაზუსტება

ცვლილებები განმარტავს ბასს 16-ისა და ბასს 38-ის პრინციპს, რომ შემოსავალი ასახავს ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც მიიღება ბიზნესსაქმიანობიდან (რისი ნაწილიც არის აქტივი) და არა იმ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც მიიღება აქტივის გამოყენების შედეგად. შედეგად, შეუძლებელია შემოსავლების მეთოდის გამოყენება ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად და მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევებში არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დასარიცხად. ცვლილებები ძალაში შედის პერსპექტიულად, 2016 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ცვლილებები სავარაუდოდ გავლენას არ იქონიებს ჯგუფზე, რადგან იგი არ იყენებს შემოსავლების მეთოდს თავის გრძელვადიან აქტივებზე ცვეთის დარიცხვისთვის.

ცვლილებები ბასს (IAS) 16-ში და ბასს (IAS) 41-ში „სოფლის მეურნეობა: სამრეწველო მცენარეები“

ცვლილებები მოქმედებს იმ ბიოლოგიური აქტივების ბუღალტრული აღრიცხვის წესზე, რომლებიც შეესაბამება „სამრეწველო მცენარის“ განმარტებას. ცვლილების თანახმად, ბიოლოგიური აქტივები, რომლებიც შეესაბამება „სამრეწველო მცენარის“ განმარტებას, აღარ შევა „ბასს 41“-ის მოქმედების ფარგლებში. ამის ნაცვლად, ისინი დაექვემდებარება ბასს 16-ს. პირველადი აღიარების შემდეგ, სამრეწველო მცენარეების შეფასება მოხდება ბასს 16-ის მიხედვით, დაგროვილი ღირებულებით (სიმწიფემდე), ღირებულების ან გადაფასების (სიმწიფის შემდეგ) მოდელის გამოყენებით. ცვლილებები ასევე მოითხოვს, რომ პროდუქტი, რომელიც იზრდება სამრეწველო მცენარეებზე, დარჩეს ბასს 41-ის მოქმედების ფარგლებში და შეფასდეს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ცვლილებები ბასს (IAS) 16-ში და ბასს (IAS) 41-ში „სოფლის მეურნეობა: სამრეწველო მცენარეები“ ინტერპრეტაცია (გაგრძელება)

ღირებულებით. სამრეწველო მცენარეებთან დაკავშირებული სამთავრობო გრანტებისთვის, გამოყენებული უნდა იქნეს ბასს 20 „სამთავრობო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები“. ცვლილებები რეტროსპექტულად (უკუქცევითი ძალით) შედის ძალაში 2016 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე დანერგვა და გამოყენება. ამ ცვლილებებს არანაირი გავლენა არ ექნება ჯგუფზე, რადგან ეს უკანასკნელი არ ფლობს სამრეწველო მცენარეებს.

ცვლილებები ბასს (IAS) 27-ში „კაპიტალ-მეთოდი ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში“

ცვლილებები საწარმოებს საშუალებას აძლევს, გამოიყენონ კაპიტალ-მეთოდი, რათა ბუღალტრულად აღრიცხონ შვილობილ, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში ჩადებული ინვესტიციები, თავიანთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საწარმოებმა, რომლებიც უკვე იყენებენ ფასს-ს და სურთ, რომ გადავიდნენ კაპიტალ-მეთოდზე, ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, უნდა შეიტანონ ეს ცვლილება რეტროსპექტულად (უკუქცევითი ძალით). საწარმოებს, რომლებიც პირველად იყენებენ ფასს-ს და სურთ, რომ გადავიდნენ კაპიტალ-მეთოდზე, ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, ამ მეთოდის გამოყენება მოეთხოვებათ ფასს-ზე გადასვლის თარიღიდან. ცვლილებები ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე დანერგვა და გამოყენება. ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს (IFRS) 10-სა და ბასს (IAS) 28-ში „აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის“

ცვლილება ეხება ფასს 10-ის და ბასს 28-ს შორის არსებულ შეუსაბამობას მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოსთვის მიყიდულ ან გადაცემულ შვილობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვასთან მიმართებაში. აღნიშნული ცვლილებები განმარტავს, რომ ისეთი აქტივების გაყიდვის ან გადაცემის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც ფასს 3-ის თანახმად წარმოადგენს ბიზნესსაქმიანობას ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის, სრულად უნდა იქნეს აღიარებული. თუმცა, ისეთი აქტივების გაყიდვის ან გადაცემის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც არ წარმოადგენს ბიზნესსაქმიანობას, უნდა იქნეს აღიარებული მხოლოდ დაუკავშირებელი ინვესტორების წილების ოდენობით მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში. ეს ცვლილებები პერსპექტიულად გამოიყენება და ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ამ ცვლილებებს სავარაუდოდ გავლენა არ ექნება ჯგუფზე.

ცვლილებები ბასს 1-ში „ინფორმაციის გახსნის ინიციატივა“

ბასს 1-ის ცვლილებები ბასს 1-ის არსებულ მოთხოვნებს განმარტავს და არ შეაქვს მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები. ცვლილებები განმარტავს:

- ბასს 1-ის არსებითობის მოთხოვნებს
- რომ გარკვეული მუხლები მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში (ანგარიშგებებში) და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეიძლება დეზაგრეგირებული სახით იყოს წარმოდგენილი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ცვლილებები ბასს 1-ში „ინფორმაციის გახსნის ინიციატივა“ (გაგრძელება)

- რომ საწარმოებს შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ, რა თანმიმდევრობით წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგებების განმარტებით შენიშვნებს
- რომ მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების სხვა სრული შემოსავლის წილი, რომელიც აღირიცხება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით, აგრეგირებული სახით, ერთ მუხლში იყოს წარმოდგენილი, და იმ მუხლებს შორის გადანაწილდეს, რომლებიც შემდგომ რეკლასიფიცირდება ან არ რეკლასიფიცირდება მოგებასა და ზარალში.

გარდა ამისა, ცვლილებები განმარტავს მოთხოვნებს, როდესაც წარმოდგენილია დამატებითი ქვეჯამები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მოგება-ზარალისა და სხვა სრულ შემოსავლის ანგარიშგებაში (ანგარიშგებებში). ეს ცვლილებები ჯგუფზე გავლენას არ ახდენს.

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასს (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარე შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“ (გაგრძელება)

2017 წელს ჯგუფი აპირებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 16-ის პოტენციური გავლენის შეფასებას.

ბასს (IAS) 12 „გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება არარეალიზებულ ზარალთან მიმართებით“ - ცვლილებები ბასს 12-ში

ცვლილებები განმარტავს, რომ საწარმომ უნდა გაითვალისწინოს, ხომ არ ზღუდავს საგადასახადო კანონმდებლობა დასაბეგრი მოგების წყაროებს, რომლებიდანაც მან შეიძლება მოახდინოს გაქვითვები ამ გამოსაქვითი დროებითი სხვაობის შემობრუნებისას. ამასთან, ცვლილებები განმარტავს, როგორ უნდა განსაზღვროს საწარმომ მომავალში მისაღები დასაბეგრი მოგება და განსაზღვრავს გარემოებებს, რომლებშიც დასაბეგრი მოგება შეიძლება მოიცავდეს გარკვეული აქტივების ამოღებას საბალანსო ღირებულებაზე მეტი ღირებულებით.

საწარმოებმა ცვლილებები რეტროსპექტულად უნდა გამოიყენონ. თუმცა, ცვლილებების თავდაპირველი გამოყენებისას უადრესი შედარებადი პერიოდის საწყის საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებები შეიძლება აღიარებული იქნეს საწყის გაუნაწილებელ მოგებაში (ან, საჭიროებისამებრ, საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტში) ისე, რომ არ მოხდეს ცვლილების გადანაწილება საწყის გაუნაწილებელ მოგებასა და საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტებს შორის. საწარმოები, რომლებიც ამ შეღავათით სარგებლობენ, უნდა გააცხადონ ამ ფაქტის შესახებ. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრეულ პერიოდზე გამოიყენებს, მან ამის შესახებ უნდა გააცხადოს. ამ ცვლილებებს სავარაუდოდ გავლენა არ ექნება ჯგუფზე.

ყოველწლიური გაუმჯობესებები 2012-2014 წ.წ. ციკლი

მოცემული გაუმჯობესებები ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. მათ შორისაა:

ფასს (IFRS) 5 „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“

აქტივების (ან გასასხვისებელი აქტივების ჯგუფის) გასხვისება ძირითადად ხდება მათი გაყიდვით, ან მფლობელებისთვის განაწილებით. ფასს 5-ის ცვლილება განმარტავს, რომ გასხვისების ერთი მეთოდიდან მეორეზე გადასვლა, არ უნდა იქნეს მიჩნეული გასხვისების ახალ გეგმად, არამედ უნდა ჩაითვალოს არსებული გეგმის გაგრძელებად. მაშასადამე, ფასს 5-ის მოთხოვნების გამოყენება ხდება უწყვეტად. აღნიშნული ცვლილება გამოიყენება პერსპექტიულად. ამ ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია ჯგუფზე.

ფასს (IFRS) 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“

(i) მომსახურების კონტრაქტები

ცვლილება განმარტავს, რომ მომსახურების კონტრაქტი, რომელიც შეიცავს გასამრჯელოს, შეიძლება წარმოადგენდეს ფინანსურ აქტივში მონაწილეობის გაგრძელებას. იმისათვის, რომ კომპანიამ დაადგინოს განმარტებითი შენიშვნების აუცილებლობა, უნდა მოხდეს გასამრჯელოსა და კონტრაქტის შინაარსობრივი შეფასება მონაწილეობის გაგრძელების შესახებ ფასს 7-ში მოცემული მითითებების

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ყოველწლიური გაუმჯობესებები 2012-2014 წ.წ. ციკლი (გაგრძელება)

მიხედვით. იმის შეფასება, თუ მომსახურების რომელი კონტრაქტები წარმოადგენს მონაწილეობის შენარჩუნებას, უნდა მოხდეს რეტროსპექტულად. ამის მიუხედავად, განმარტებითი შენიშვნები არ არის სავალდებულო ნებისმიერი პერიოდისთვის, რომელიც წინ უსწრებს ცვლილებების პირველად გამოყენების წლიურ პერიოდს. ამ ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია ჯგუფზე.

(ii) ფასს 7-ის ცვლილების გავრცელება შემოკლებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ცვლილება განმარტავს, რომ ურთიერთგაქვითვის განმარტებითი შენიშვნის მოთხოვნა არ ვრცელდება შემოკლებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ ეს განმარტებითი შენიშვნა ყველაზე ბოლო წლიურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციისგან მნიშვნელოვანად არ განსხვავდება. აღნიშნული ცვლილება გამოიყენება უკუქცევითი ძალით. ამ ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია ჯგუფზე.

ბასს 19 „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“

ცვლილება განმარტავს, რომ მაღალი ხარისხის კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის სიღრმის შეფასება ხდება იმ ვალუტის მიხედვით, რომელშიც არის ვალდებულება გამოხატული და არა იმ ქვეყნის მიხედვით, სადაც ვალდებულება მდებარეობს. როდესაც არ არსებობს მაღალი ხარისხის კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის სიღრმე ასეთ ვალუტაში, უნდა მოხდეს სახელმწიფო ობლიგაციების განაკვეთების გამოყენება. აღნიშნული ცვლილება გამოიყენება პერსპექტიულად. ამ ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია ჯგუფზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

გუდვილის გაუფასურების ტესტირება

გუდვილის გაუფასურების ტესტირებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასებები წარმოდგენილია მე-9 შენიშვნაში.

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურება

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა ჯგუფის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტების ანგარიშების ამოღება. თუ არსებობს

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი კლიენტის კრედიტუნარიანობის გაუარესების ნიშნები, შესაბამისი მისაღები ანგარიშები გაუფასურებულად ჩაითვლება. ამგვარი გაუარესების ნიშნების დადგენის ძირითადი კრიტერიუმია კლიენტების მიერ დავალიანების დაფარვის ხარისხი, რომელიც ფასდება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობით (ე.ი. რამდენი დღით დაგვიანდა გადახდა). კლიენტების მიერ მიმდინარე და ძველი დავალიანების დაფარვის შესაბამისი ანალიზის საფუძველზე ჯგუფი განსაზღვრავს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გამოიყენება სათანადო დარეზერვების განაკვეთი, რომელიც ასახავს დავალიანების დაფარვის კონკრეტულ კატეგორიასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს. თუ ასეთი მტკიცებულება არ არსებობს, შესაბამისი მოთხოვნები ფასდება კოლექტიურად, როგორც კარგი ხარისხის მქონე, მაღალი საკრედიტო ხარისხის მქონე მისაღები ანგარიშებში, დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებისა და ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე, რაც ფაქტობრივად გულისხმობს ვადაგადაცილებული დღეების არაარსებით ოდენობას.

კოლექტიურად შეფასების მიზნებისთვის, ხელმძღვანელობის განსჯით, ისტორიულ ტენდენციებზე დაყრდნობით შეიძლება ზარალის პროგნოზირება და ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის ამოღებადი დავალიანების მოცულობის შესაფასებლად.

ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს პროგნოზებისგან და ჯგუფის შეფასება შეიძლება მომავალში გადაისინჯოს უარყოფითად ან დადებითად, იმისდა მიხედვით, თუ როგორია შედეგი ან მოლოდინი, დავალიანების გარშემო არსებული გარემოებების საფუძველზე. ჯანდაცვიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურების რეზერვის ოდენობა 2016 წლის 31 დეკემბრისთვის 12,167 ლარი (2015 წ.: 7,829 ლარი) იყო. იხილეთ მე-7 შენიშვნა.

უძრავი ქონების შეფასება

ძირითად საშუალებებში შესული უძრავი ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლების მიერ. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ე. წ. გაყიდვების შედარების მეთოდის გამოყენებით. ჯგუფი თავის საავადმყოფოებსა და კლინიკებს სამ წელიწადში ერთხელ აფასებს, თუ ბაზარზე არ შეიმჩნევა სამართლიან ღირებულებებში არსებითი ცვლილების ნიშნები. საავადმყოფოებისა და კლინიკების პირველი შეფასება ჩაატარა „ქართულმა სამედიცინო კომპანიამ“ 2016 წლის 1 ივლისს. შეფასების შედეგები წარმოდგენილია მე-8 შენიშვნაში, ხოლო შეფასებაში გამოყენებული ამოსავალი მონაცემები და ხერხები აღწერილია 31-ე შენიშვნაში. ზემოაღნიშნული შეფასებები ექვემდებარება შემდგომ ცვლილებას ახალი გარიგებების შესახებ მიღებული ინფორმაციისა და ახალი საბაზრო მონაცემების საფუძველზე.

მიმდინარე მოგების გადასახადის აღიარება

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის საქართველოს მოქმედი ან ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, მოგების რეინვესტიცია სამედიცინო სფეროში არ იბეგრება გადასახადით. განსჯის საფუძველზე ფასდება და განისაზღვრება მიმდინარე წლის მოგების ის ნაწილი, რომელსაც ჯგუფი

მიმდინარე მოგების გადასახადის აღიარება (გაგრძელება)

მომდევნო სამი წლის განმავლობაში ხელახლა დააბანდებს თავის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობაში. მიმდინარე წლის მოგებიდან ის თანხა, რომლის რეინვესტირებაც მომავალში სავარაუდოდ მოხდება,

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ეყრდნობა ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ საშუალოვადიან (მიმდინარე წლის შემდგომი სამი წლის) ბიზნესგეგმას. დაბეგვრის წესი უფრო დაწვრილებით მე-10 შენიშვნაში განხილული.

5. საწარმოთა გაერთიანება

შესყიდვები 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „ემერჯენსი სერვისი“

2016 წლის 20 მაისს სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ (შემდგომში „მყიდველი საწარმო“) ინდივიდუალური ინვესტორებისგან და ფაქტო კონტროლი მოიპოვა საქართველოში მოქმედ ჯანდაცვის მომსახურების კომპანიაზე - შპს „ემერჯენსი სერვისზე“ (შემდგომში „ES“).

შემენის თარიღისთვის ES-ის ამოცნობადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები ასეთი იყო:

	<i>შემენისას აღიარებული სამართლიანი ღირებულება</i>
აქტივები	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები ¹	418
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1
ძირითადი საშუალებები	637
სულ აქტივები	1,062
ვალდებულებები	
ნასესხები სახსრები	137
კრედიტორული დავალიანება	344
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	198
სულ ვალდებულებები	679
სულ ამოცნობადი წმინდა აქტივები	383
არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის	-
შესყიდვის შედეგად მიღებული გუდვილი	2,467
საზღაური²	2,850

1. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების სამართლიანმა ღირებულებამ 418 ლარი შეადგინა. მისაღები ანგარიშების მთლიანი თანხა 555 ლარია. აქედან 137 ლარის მისაღები ანგარიშები გაუფასურებელია.

2. ანაზღაურება მოიცავდა 2,850 ლარს, საიდანაც 500 ლარი უკვე გადახდილია, ხოლო დარჩენილი თანხა სამ წელიწადშია დასაფარი.

შემენასთან დაკავშირებით წმინდა ფულადი ნაკადების გადინება ასე გამოიყურება:

გადახდილი ნაღდი ფული	500
შვილობილი კომპანიის შემენის შედეგად მიღებული ნაღდი ფული	(6)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება	494

ჯგუფმა გადაწყვიტა გაეზარდა თავისი წილი და ინვესტიცია თბილისის ჯანდაცვის ბაზარზე ES-ის შესყიდვით. ხელმძღვანელობის აზრით, ეს გარიგება დადებით გავლენას მოახდენს ჯგუფის ღირებულებაზე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

შესყიდვები 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

შპს „ემერჯენსი სერვისი“ (გაგრძელება)

შეძენის შემდეგ, ES-მა აჩვენა 2,588 ლარის შემოსავალი და 481 ლარის მოგება. 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შემენილი საწარმოს შემოსავალი და მოგება, შესაბამისად, შეადგენდა 4,077 ლარსა და 654 ლარს.

საწარმოთა გაერთიანება წლის დასაწყისში რომ მომხდარიყო, ჯგუფის შემოსავალი 244,942 ლარი, ხოლო მოგება 72,335 ლარი იქნებოდა.

ძირითადი ფაქტორი, რამაც წვლილი შეიტანა საწარმოთა გაერთიანების ღირებულებაში, რის შედეგადაც მოხდა გუდვილის აღიარება შეძენის დროს, არის ჯგუფის ოპერაციებზე ასახული დადებითი სინერგია. საგადასახადო კანონმდებლობის მიზნებისთვის, გუდვილის აღიარება ხდება კომპანიის ინდივიდუალური ბალანსზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება შესაბამისი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის იურიდიული შერწყმა. მანამდე გუდვილი, როგორც აქტივი, ცალკე არ არსებობს საგადასახადო მიზნებისთვის, და მისი მთლიანი ოდენობა წარმოადგენს კომპანიის ბალანსზე ინვესტიციის პირვანდელი ღირებულების ნაწილს. შერწყმის შემდეგ, საგადასახადო კანონმდებლობის მიზნებისთვის, გუდვილის მთლიანი თანხის აღიარება ხდება არამატერიალურ აქტივად საგადასახადო კოდექსის შესაბამისად და შემდეგ ხდება მისი ამორტიზება კოდექსში მოცემული ალგორითმის გამოყენებით. ამორტიზაცია სრულად არის გამოქვითვადი საგადასახადო მიზნებისთვის.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

შესყიდვები 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

სს „ფოთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო“

2016 წლის 1 იანვარს სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ (შემდგომში „მყიდველი საწარმო“) ადგილობრივი კომპანიებისგან დე ფაქტო კონტროლი მოიპოვა საქართველოში მოქმედ ჯანდაცვის მომსახურების კომპანიაზე - სს „ფოთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო“ (შემდგომში „ფოთი“). შეძენის თარიღისთვის ფოთის ამოცნობადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები ასეთი იყო:

	<i>შეძენისას აღიარებული სამართლიანი ღირებულება</i>
აქტივები	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები ¹	595
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	71
ძირითადი საშუალებები	14,539
არამატერიალური აქტივები	3
გადახდილი ავანსები	3
სხვა აქტივები	91
სულ აქტივები	15,313
ვალდებულებები	
კრედიტორული დავალიანება	3,647
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	185
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	1,383
სულ ვალდებულებები	5,215
სულ ამოცნობადი წმინდა აქტივები	10,098
არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის შესყიდვის შედეგად მიღებული გუდვილი ²	-
საზღაური³	6,892

1. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების სამართლიანმა ღირებულებამ 595 ლარი შეადგინა. მისაღები ანგარიშების მთლიანი თანხა 647 ლარია. აქედან 52 ლარის მისაღები ანგარიშები გაუფასურებულია.
2. შეძენამდე ფოთის მესაკუთრეებმა გარკვეული ფინანსური სიმწელები განიცადეს, რის შედეგადაც შეძენის ხარჯი შემცირდა და განაპირობა მოგება შესყიდვის ხელსაყრელი გარიგებიდან 3,206 ლარის ოდენობით. მოგება ასახულია წმინდა არარეგულარულ შემოსავალში (27-ე შენიშვნა).
3. საზღაური მოიცავს ფოთისა და შპს „ბლოკ ჯორჯიასთვის“ მანამდე გაცემულ სესხებსაც.

შეძენასთან დაკავშირებით წმინდა ფულადი ნაკადების გადინება ასე გამოიყურება:

გადახდილი ნაღდი ფული	-
შვილობილი კომპანიის შეძენის შედეგად მიღებული ნაღდი ფული	11
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება	11

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

შესყიდვები 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

სს „ფოთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო“ (გაგრძელება)

ჯგუფმა გადაწყვიტა გაეზარდა თავისი წილი და ინვესტიცია ჯანდაცვის რეგიონულ ბაზარზე ფოთის შესყიდვით. ხელმძღვანელობის აზრით, ეს გარიგება დადებით გავლენას მოახდენს ჯგუფის ღირებულებაზე. შეძენის თარიღიდან, ფოთმა აჩვენა 2,582 ლარის შემოსავალი და 3,135 ლარის მოგება. მოგება მოიცავს ერთჯერად სარგებელს 1,657 ლარის ოდენობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების გამო.

სს „პედიატრი“

2016 წლის 6 ივლისს სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ (შემდგომში „მყიდველი საწარმო“) ინდივიდუალური ინვესტორებისგან შეისყიდა სს „პედიატრის“ (შემდგომში „პედიატრი“) აქციების 76% და ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც აიღო დარჩენილი 24%-იანი წილის შესყიდვის ვალდებულება. პედიატრი არის საქართველოში მოქმედი ჯანდაცვის მომსახურების კომპანია. შეძენის თარიღისთვის პედიატრის ამოცნობადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები ასეთი იყო:

	<i>შეძენისას აღიარებული სამართლიანი ღირებულება</i>
აქტივები	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები ¹	303
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4
ძირითადი საშუალებები	402
არამატერიალური აქტივები	15
სულ აქტივები	738
ვალდებულებები	
კრედიტორული დავალიანება	62
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	101
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	67
სხვა ვალდებულებები	24
სულ ვალდებულებები	254
სულ ამოცნობადი წმინდა აქტივები	484
არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის შესყიდვის შედეგად მიღებული გუდვილი	-
საზღაურო²	963
	1,447

1. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების სამართლიანმა ღირებულებამ 303 ლარი შეადგინა. მისაღები ანგარიშების მთლიანი თანხა 541 ლარია. აქედან 238 ლარის მისაღები ანგარიშები გაუფასურებულია.
2. საზღაურმა შეადგინა 1,447 ლარი. აქედან 1,100 ლარი ნაღდ ფულად იქნა გადახდილი, ხოლო 347 ლარის სამართლიანი ღირებულების მქონე თანხა დაკავებული იქნა.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

შესყიდვები 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

სს „პედიატრი“ (გაგრძელება)

შემენასთან დაკავშირებით წმინდა ფულადი ნაკადების გადინება ასე გამოიყურება:

გადახდილი ნაღდი ფული	1,100
შვილობილი კომპანიის შემენის შედეგად მიღებული ნაღდი ფული	(14)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება	<u>1,086</u>

ჯგუფმა გადაწყვიტა გაეზარდა თავისი წილი და ინვესტიცია ჯანდაცვის რეგიონულ ბაზარზე პედიატრის შესყიდვით. ხელმძღვანელობის აზრით, ეს გარიგება დადებით გავლენას მოახდენს ჯგუფის ღირებულებაზე. შემენის შემდეგ, პედიატრმა აჩვენა 886 ლარის შემოსავალი და 121 ლარის მოგება. 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შექმნილი საწარმოს შემოსავალი და მოგება, შესაბამისად, შეადგენდა 1,764 ლარსა და 237 ლარს.

საწარმოთა გაერთიანება წლის დასაწყისში რომ მომხდარიყო, ჯგუფის შემოსავალი 244,331 ლარი, ხოლო მოგება 72,278 ლარი იქნებოდა.

ძირითადი ფაქტორი, რამაც წვლილი შეიტანა საწარმოთა გაერთიანების ღირებულებაში, რის შედეგადაც მოხდა გუდვილის აღიარება შემენის დროს, არის ჯგუფის ოპერაციებზე ასახული დადებითი სინერჯია. საგადასახადო კანონმდებლობის მიზნებისთვის, გუდვილის აღიარება ხდება კომპანიის ინდივიდუალური ბალანსზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება შესაბამისი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის იურიდიული შერწყმა. მანამდე გუდვილი, როგორც აქტივი, ცალკე არ არსებობს საგადასახადო მიზნებისთვის, და მისი მთლიანი ოდენობა წარმოადგენს კომპანიის ბალანსზე ინვესტიციის პირვანდელი ღირებულების ნაწილს. შერწყმის შემდეგ, საგადასახადო კანონმდებლობის მიზნებისთვის, გუდვილის მთლიანი თანხის აღიარება ხდება არამატერიალურ აქტივად საგადასახადო კოდექსის შესაბამისად და შემდეგ ხდება მისი ამორტიზება საგადასახადო კოდექსში მოცემული ალგორითმის გამოყენებით. ამორტიზაცია სრულად არის გამოქვითვადი საგადასახადო მიზნებისთვის.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

შესყიდვები 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

შპს „პატჯეო“

2016 წლის 1 აგვისტოს სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ (შემდგომში „მყიდველი საწარმო“) ინდივიდუალური ინვესტორებისგან შეისყიდა საქართველოში მოქმედი ჯანდაცვის მომსახურების კომპანია - შპს „პატჯეოს“ (შემდგომში „პატჯეო“) 100%-იანი წილი. შეძენის თარიღისთვის პატჯეოს ამოცნობადი აქტივებისა და ვალდებულებების პირობითი სამართლიანი ღირებულება ასეთი იყო:

	<i>შეძენისას აღიარებული პირობითი სამართლიანი ღირებულება</i>
აქტივები	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	43
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები ¹	119
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	36
ძირითადი საშუალებები	28
სხვა აქტივები	2
სულ აქტივები	228
ვალდებულებები	
კრედიტორული დავალიანება	33
თანამშრომლების კომპენსაციის დანარჩენები	30
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	25
სხვა ვალდებულებები	34
სულ ვალდებულებები	122
სულ ამოცნობადი წმინდა აქტივები	106
არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის შესყიდვის შედეგად მიღებული გუდვილი	-
საზღაური²	800

1. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების სამართლიანმა ღირებულებამ 119 ლარი შეადგინა. მისაღები ანგარიშების მთლიანი თანხა 263 ლარია. აქედან 144 ლარის მისაღები ანგარიშები გაუფასურებულია.
2. საზღაური მოიცავდა 800 ლარის ოდენობის ფულად გადახდას.

შეძენასთან დაკავშირებით წმინდა ფულადი ნაკადების გადინება ასე გამოიყურება:

გადახდილი ნაღდი ფული	800
შვილობილი კომპანიის შეძენის შედეგად მიღებული ნაღდი ფული	(43)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება	757

ჯგუფმა გადაწყვიტა გაეზარდა თავისი წილი და ინვესტიცია ჯანდაცვის რეგიონულ ბაზარზე პატჯეოს შესყიდვით. ხელმძღვანელობის აზრით, ეს გარიგება დადებით გავლენას მოახდენს ჯგუფის ღირებულებაზე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

შესყიდვები 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

სს „პატჯეო“ (გაგრძელება)

შეძენის შემდეგ, პატჯეომ აჩვენა 718 ლარის შემოსავალი და 114 ლარის მოგება. 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შეძენილი საწარმოს შემოსავალი და მოგება, შესაბამისად, შეადგენდა 1,716 ლარსა და 262 ლარს.

საწარმოთა გაერთიანება წლის დასაწყისში რომ მომხდარიყო, ჯგუფის შემოსავალი 244,451 ლარი, ხოლო მოგება 72,310 ლარი იქნებოდა.

ძირითადი ფაქტორი, რამაც წვლილი შეიტანა საწარმოთა გაერთიანების ღირებულებაში, რის შედეგადაც მოხდა გუდვილის აღიარება შეძენის დროს, არის ჯგუფის ოპერაციებზე ასახული დადებითი სინერგია. საგადასახადო კანონმდებლობის მიზნებისთვის, გუდვილის აღიარება ხდება კომპანიის ინდივიდუალური ბალანსზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება შესაბამისი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის იურიდიული შერწყმა. მანამდე გუდვილი, როგორც აქტივი, ცალკე არ არსებობს საგადასახადო მიზნებისთვის, და მისი მთლიანი ოდენობა წარმოადგენს კომპანიის ბალანსზე ინვესტიციის პირვანდელი ღირებულების ნაწილს. შერწყმის შემდეგ, საგადასახადო კანონმდებლობის მიზნებისთვის, გუდვილის მთლიანი თანხის აღიარება ხდება არამატერიალურ აქტივად საგადასახადო კოდექსის შესაბამისად და შემდეგ ხდება მისი ამორტიზება საგადასახადო კოდექსში მოცემული ალგორითმის გამოყენებით. ამორტიზაცია სრულად არის გამოქვითვადი საგადასახადო მიზნებისთვის.

ზემოთ წარმოდგენილი წმინდა აქტივები წარმოადგენს პირობით შეფასებას გამოშვების თარიღისთვის. ჯგუფი აგრძელებს აღნიშნული წმინდა აქტივების საფუძვლიან გადამოწმებას და აპირებს სათანადო კორექტირებების შეტანას წმინდა აქტივებისა და გუდვილის ოდენობაში შეძენის თარიღიდან 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში, ფასს 3-ის „საწარმოთა გაერთიანება“ თანახმად.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

შესყიდვები 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „დეკა“

2015 წლის 30 ივნისს სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ (შემდგომში „მყიდველი საწარმო“), ინდივიდუალური ინვესტორებისგან შეისყიდა საქართველოში მოქმედი ჯანდაცვის მომსახურების კომპანიის - შპს „დეკას“ (შემდგომში „დეკა“) აქციების 95%.

შემქნის თარიღისთვის დეკას ამოცნობადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები ასეთი იყო:

	<i>შემქნისას ალიარებული სამართლიანი ღირებულება</i>
აქტივები	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	89
ძირითადი საშუალებები	43,814
სხვა აქტივები ¹	219
სულ აქტივები	44,122
ვალდებულებები	
ნასესხები სახსრები	54
კრედიტორული დავალიანება	1,283
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	135
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	483
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	6,198
სულ ვალდებულებები	8,153
სულ ამოცნობადი წმინდა აქტივები	35,969
არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის შესყიდვის შედეგად მიღებული გუდვილი ²	1,768 -
საზღაური³	28,842

1. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების სამართლიანმა ღირებულებამ წული ლარი შეადგინა. მისაღები ანგარიშების მთლიანი თანხა 395 ლარია, რომელიც სრულად არის გაუფასურებული.
2. შექმნამდე დეკას მესაკუთრეებმა გარკვეული ფინანსური სიმძლეეები განიცადეს, რის შედეგადაც შემქნის ხარჯი შემცირდა და განაპირობა მოგება შესყიდვის ხელსაყრელი გარიგებიდან 5,359 ლარის ოდენობით. მოგება ასახულია წმინდა არარეგულარულ შემოსავალში (27-ე შენიშვნა).
3. საზღაურმა შეადგინა 28,842 ლარი. აქედან 28,280 ლარი ნაღდ ფულად იქნა გადახდილი, ხოლო 562 ლარის სამართლიანი ღირებულების მქონე თანხა დაკავებული იქნა.

შემქნასთან დაკავშირებით წმინდა ფულადი ნაკადების გადინება ასე გამოიყურება:

გადახდილი ნაღდი ფული	28,280
შვილობილი კომპანიის შემქნის შედეგად მიღებული ნაღდი ფული	(89)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება	28,191

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

შესყიდვები 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

შპს „დეკა“ (გაგრძელება)

ჯგუფმა გადაწყვიტა გაეზარდა თავისი წილი და ინვესტიცია თბილისის ჯანდაცვის ბაზარზე დეკას შესყიდვით. ხელმძღვანელობის აზრით, ეს გარიგება დადებით გავლენას მოახდენს ჯგუფის ღირებულებაზე.

მთლიან 2015 წელს, შეძენის თარიღიდან დეკამ აჩვენა 1,089 ლარის შემოსავალი და 193 ლარის მოგება. შეძენილი საწარმოს მთლიანი წლის შემოსავალი და მოგება, შესაბამისად, შეადგენდა 2,289 ლარსა და 313 ლარს.

საწარმოთა გაერთიანება წლის დასაწყისში რომ მომხდარიყო, ჯგუფის შემოსავალი 192,624 ლარი, ხოლო მოგება 22,663 ლარი იქნებოდა.

ჯგუფმა არჩია დეკაში არასაკონტროლო პაკეტის შეფასება დეკას ამოცნობადი წმინდა აქტივების არასაკონტროლო პაკეტის პროპორციული წილით.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წმინდა აქტივები და მოგება შესყიდვის ხელსაყრელი გარიგებიდან შეფასებული იყო პირობითად, როგორც ეს ნებადართულია ფასს 3-ით „საწარმოთა გაერთიანება“. 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფმა დაასრულა წმინდა აქტივების სრული შემოწმება. ამის შედეგად, არასაკონტროლო პაკეტის საბალანსო ღირებულების დადებითმა კორექტირებამ 280 ლარი შეადგინა.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

შესყიდვები 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

შპს „კატასტროფის მედიცინის პედიატრიული ცენტრი“

2015 წლის 1 მარტს სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ ინდივიდუალური ინვესტორებისგან შეისყიდა საქართველოში მოქმედი ჯანდაცვის მომსახურების კომპანიის - შპს „კატასტროფის მედიცინის პედიატრიული ცენტრი“ (შემდგომში „EMC“) აქციების 100%-იანი წილი.

შემენის თარიღისთვის EMC-ის ამოცნობადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები ასეთი იყო:

	<i>შემენისას აღიარებული სამართლიანი ღირებულება</i>
აქტივები	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	25
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები ¹	111
ძირითადი საშუალებები	104
სხვა აქტივები	7
სულ აქტივები	247
ვალდებულებები	
კრედიტორული დავალიანება	7
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	51
სხვა ვალდებულებები	58
სულ ვალდებულებები	116
სულ ამოცნობადი წმინდა აქტივები	131
არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის შესყიდვის შედეგად მიღებული გუდვილი	-
საზღაური²	869
	1,000

1. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების სამართლიანმა ღირებულებამ 111 ლარი შეადგინა. მისაღები ანგარიშების მთლიანი თანხა 111 ლარია. მისაღები ანგარიშები არ გაუფასურებულა.
2. ანაზღაურებამ შეადგინა 1,000 ლარი, რაც მთლიანად ნაღდი ფულით იქნა გადახდილი.

შემენასთან დაკავშირებით წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება ასე გამოიყურება:

გადახდილი ნაღდი ფული	1,000
შვილობილი კომპანიის შემენის შედეგად მიღებული ნაღდი ფული	(25)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება	975

ჯგუფმა გადაწყვიტა გაეზარდა თავისი წილი და ინვესტიცია თბილისის ჯანდაცვის ბაზარზე EMC-ის შესყიდვით. ხელმძღვანელობის აზრით, ეს გარიგება დადებით გავლენას მოახდენს ჯგუფის ღირებულებაზე.

მთლიან 2015 წელს, შემენის თარიღიდან EMC-მ აჩვენა 2,309 ლარის შემოსავალი და 406 ლარის მოგება. შექმნილი საწარმოს მთლიანი წლის შემოსავალი და მოგება, შესაბამისად, შეადგენდა 2,769 ლარსა და 486 ლარს.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

შესყიდვები 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

შპს „კატასტროფის მედიცინის პედიატრიული ცენტრი“ (გაგრძელება)

საწარმოთა გაერთიანება 2015 წლის დასაწყისში რომ მომხდარიყო, ჯგუფის შემოსავალი 191,884 ლარი, ხოლო მოგება 22,623 ლარი იქნებოდა.

ძირითადი ფაქტორი, რამაც წვლილი შეიტანა საწარმოთა გაერთიანების ღირებულებაში, რის შედეგადაც მოხდა გუდვილის აღიარება შეძენის დროს, არის ჯგუფის ოპერაციებზე ასახული დადებითი სინერგია. საგადასახადო კანონმდებლობის მიზნებისთვის, გუდვილის აღიარება ხდება კომპანიის ინდივიდუალური ბალანსზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება შესაბამისი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის იურიდიული შერწყმა. მანამდე გუდვილი, როგორც აქტივი, ცალკე არ არსებობს საგადასახადო მიზნებისთვის, და მისი მთლიანი ოდენობა წარმოადგენს კომპანიის ბალანსზე ინვესტიციის პირვანდელი ღირებულების ნაწილს. შერწყმის შემდეგ, საგადასახადო კანონმდებლობის მიზნებისთვის, გუდვილის მთლიანი თანხის აღიარება ხდება არამატერიალურ აქტივად საგადასახადო კოდექსის შესაბამისად და შემდეგ ხდება მისი ამორტიზება კოდექსში მოცემული ალგორითმის გამოყენებით. ამორტიზაცია სრულად არის გამოქვითვადი საგადასახადო მიზნებისთვის.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

შესყიდვები 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

გნკო

2015 წლის 5 აგვისტოს სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ (შემდგომში „მყიდველი საწარმო“) ინდივიდუალური ინვესტორებისგან შეისყიდა საქართველოში მოქმედი ჯანდაცვის მომსახურების კომპანიის - „გნკო“-ს (შემდგომში „გნკო“) აქციების 50%-იანი წილი, კომპანიაზე ეფექტური მართვისა და საოპერაციო კონტროლით.

შემენის თარიღისთვის გნკო-ს ამოცნობადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები ასეთი იყო:

	<i>შემენისას ალიარებული სამართლიანი ღირებულება</i>
აქტივები	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	427
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები ¹	8,210
გადახდილი ავანსები	1,828
ძირითადი საშუალებები	83,570
არამატერიალური აქტივები	16
სხვა აქტივები	1,464
სულ აქტივები	95,515
ვალდებულებები	
ნასესხები სახსრები	15,624
კრედიტორული დავალიანება	11,215
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	5,372
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	6,257
სხვა ვალდებულებები	3,132
სულ ვალდებულებები	41,600
სულ ამოცნობადი წმინდა აქტივები	53,915
არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის	27,212
შესყიდვის შედეგად მიღებული გუდვილი	12,282
საზღაური²	38,985

¹ ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების სამართლიანმა ღირებულებამ 8,210 ლარი შეადგინა. მისაღები ანგარიშების მთლიანი თანხა 17,765 ლარია. აქედან 9,555 ლარის მისაღები ანგარიშები გაუფასურებულია.

² საზღაურმა შეადგინა 38,985 ლარი. აქედან 19,346 ლარი ნაღდ ფულად იქნა გადახდილი, ხოლო 21,513 ლარის სამართლიანი ღირებულების მქონე თანხა დაკავებული იქნა (შემენის თარიღისთვის ამ ორი თანხის ჯამი არ შეადგენს მთლიანი საზღაურის ოდენობას, შემენის თარიღსა და საანგარიშგებო თარიღს შორის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გამო).

შემენასთან დაკავშირებით წმინდა ფულადი ნაკადების გადინება ასე გამოიყურება:

გადახდილი ნაღდი ფული	19,346
შვილობილი კომპანიის შემენის შედეგად მიღებული ნაღდი ფული	(427)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება	18,919

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

შესყიდვები 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

გნკო (გაგრძელება)

ჯგუფმა გადაწყვიტა გაეზარდა თავისი წილი და ინვესტიცია თბილისის ჯანდაცვის ბაზარზე გნკო-ს შესყიდვით. ხელმძღვანელობის აზრით, ეს გარიგება დადებით გავლენას მოახდენს ჯგუფის ღირებულებაზე.

მთლიან 2015 წელს, შეძენის თარიღიდან გნკო-მ აჩვენა 16,584 ლარის შემოსავალი და 2,226 ლარის მოგება. შეძენილი საწარმოს მთლიანი წლის შემოსავალი და მოგება, შესაბამისად, შეადგენდა 40,807 ლარსა და 5,319 ლარს.

საწარმოთა გაერთიანება 2015 წლის დასაწყისში რომ მომხდარიყო, ჯგუფის შემოსავალი 215,647 ლარი, ხოლო მოგება 25,636 ლარი იქნებოდა.

ჯგუფმა არჩია გნკო-ში არასაკონტროლო პაკეტის შეფასება გნკო-ს ამოცნობადი წმინდა აქტივების არასაკონტროლო პაკეტის პროპორციული წილით. ძირითადი ფაქტორი, რამაც წვლილი შეიტანა საწარმოთა გაერთიანების ღირებულებაში, რის შედეგადაც მოხდა გუდვილის აღიარება შეძენის დროს, არის ჯგუფის ოპერაციებზე ასახული დადებითი სინერგია. საგადასახადო კანონმდებლობის მიზნებისთვის, გუდვილის აღიარება ხდება კომპანიის ინდივიდუალური ბალანსზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება შესაბამისი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის იურიდიული შერწყმა. მანამდე გუდვილი, როგორც აქტივი, ცალკე არ არსებობს საგადასახადო მიზნებისთვის, და მისი მთლიანი ოდენობა წარმოადგენს კომპანიის ბალანსზე ინვესტიციის პირვანდელი ღირებულების ნაწილს. შერწყმის შემდეგ, საგადასახადო კანონმდებლობის მიზნებისთვის, გუდვილის მთლიანი თანხის აღიარება ხდება არამატერიალურ აქტივად საგადასახადო კოდექსის შესაბამისად და შემდეგ ხდება მისი ამორტიზება საგადასახადო კოდექსში მოცემული ალგორითმის გამოყენებით. ამორტიზაცია სრულად არის გამოქვითვადი საგადასახადო მიზნებისთვის.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წმინდა აქტივები და გუდვილის თანხა შეფასებული იყო პირობითად, როგორც ეს ნებადართულია ფასს 3-ით „საწარმოთა გაერთიანება“. 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფმა დაასრულა წმინდა აქტივების სრული შემოწმება. ამის შედეგად, გუდვილის საბალანსო ღირებულების დადებითმა კორექტირებამ შეადგინა 853 ლარი.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	<i>31 დეკემბერი, 2016 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2015 წ.</i>
მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკებში	11,071	51,011
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	106	23
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	11,177	51,034

ხელმძღვანელობა არ მოელის ზარალს, რომელიც გამოწვეულია ისეთი კონტრაქტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ამასთან, მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

7. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები მოიცავს შემდეგს:

	<i>31 დეკემბერი, 2016 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2015 წ.</i>
სახელმწიფოსგან მისაღები თანხები	71,343	58,126
ფიზიკური პირებისგან და სხვა მისაღები თანხები	20,824	8,797
სადაზღვევო კომპანიებისგან მისაღები თანხები	5,453	12,254
	97,620	79,177
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი	(11,030)	(7,829)
სულ ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები, წმინდა	86,590	71,348

ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფის მიმართ ყველაზე დიდი დებიტორული დავალიანება სახელმწიფოს აქვს. დავალიანება წარმოდგენილია 2013 წლის მარტში სახელმწიფოს მიერ ამოქმედებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში მისაღები თანხებით. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით სახელმწიფო მთელ მოსახლეობას უზრუნველყოფს საბაზისო ჯანდაცვის მომსახურებით, მათ შორის იმ 2 მილიონ ადამიანს, რომლებიც მანამდე არანაირი სამედიცინო დაზღვევით არ სარგებლობდნენ და ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების დაფარვა საკუთარი ჯიბიდან უწევდათ. ამჟამად პროგრამა სრულად ამოქმედებულია. მისი განხორციელება რამდენიმე ეტაპად მოხდა:

- მარტი, 2013 წ. გადაუდებელი სტაციონარული და გარკვეული ამბულატორიული ჯანდაცვის მომსახურების უფასოდ მოსარგებლები გახდნენ პირები, რომლებიც მანამდე არ სარგებლობდნენ სახელმწიფო ან კერძო დაზღვევის პროგრამებით (მოიცავს დაახლოებით 2 მილიონ პირს, მათ შორის შვიდი წლიდან ასაკის ბავშვებსა და უფროსებს);
- ივლისი, 2013 წ. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა გაფართოვდა და მოიცვა ინტენსიური თერაპია და ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა (რადიოთერაპიის, ქიმიოთერაპიის და ჰორმონოთერაპიის ჩათვლით), ასევე მშობიარობის ხარჯები;
- აპრილი, 2014 წ. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამამ ჩაანაცვლა სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა - ორი არსებული სახელმწიფო დაზღვევის პროგრამიდან პირველი, რომელიც ჯანდაცვის მომსახურებას უზრუნველყოფდა „ეკონომიკურად დაუცველი“ მოქალაქეებისთვის 2007 წლიდან;

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები (გაგრძელება)

- სექტემბერი, 2014 წ. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამამ ჩაანაცვლა მეორე სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა (№165 დადგენილებით), რომელიც მოიცავდა პენსიონერებს, ექვს წლამდე ასაკის ბავშვებსა და სტუდენტებს.

ქვემოთ მოცემულია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მოკლე აღწერა:

- საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას სრულად აფინანსებს საქართველოს მთავრობა და მის ადმინისტრირებას ახორციელებს სოციალური მომსახურების სააგენტო. უმეტეს შემთხვევაში, მოსარგებლების ლიმიტი ერთეულ შემთხვევაზე 15,000 ლარია. ეს ზღვარი გარკვეულ შეზღუდვას უწესებს მომსახურებას, რომელზეც პაციენტს შეიძლება ხელი მიუწვდებოდეს, რის გამოც კრიტიკული გეგმური მომსახურებისთვის თანაგადახდა ხშირად ხდება საჭირო;
- საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლებს შეუძლიათ სურვილისამებრ აირჩიონ სამკურნალო დაწესებულება. მთავარია, რომ აღნიშნული დაწესებულება პროგრამის მონაწილე იყოს.
- პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ კერძო თუ სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულებას;
- ფაქტობრივი ფასები, რომლებსაც პაციენტებს აკისრებენ სამედიცინო მომსახურების მომწოდებლები, არ რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. ამის მიუხედავად, ანაზღაურების სქემა (ანუ სახელმწიფოს მიერ სამკურნალო დაწესებულებებისთვის გადახდილი თანხა) განსხვავდება, გაწეული მომსახურების ტიპის მიხედვით:
 - გეგმური ამბულატორიული მომსახურებისთვის გამოიყენება კაპიტაციის მეთოდი;
 - გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ტარიფები დამოკიდებულია მინიმალურ ისტორიულ ფასებზე წინა სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამების მიხედვით, რომლებიც შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს;
 - გეგმური სტაციონარული მომსახურების შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებული თანხა დამოკიდებულია ქვეყნის მასშტაბით მომსახურების მომწოდებლების ფასების ქვედა მეოთხედის საშუალოზე; ამასთან პაციენტი ახდენს დამატებითი ხარჯების თანაგადახდას.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ანაზღაურების სქემა გეგმური მომსახურებისთვის საქართველოში შემდეგნაირად გამოიყურება:

მომსახურება	სახელმწიფოსგან ანაზღაურება
გეგმური ამბულატორიული მომსახურება	70%
ოჯახის ექიმის მომსახურება და ძირითადი ლაბორატორიული გამოკვლევები	100%
გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება	70/100%; ერთეულ შემთხვევაზე 15,000 ლარის ლიმიტით.
გეგმური ქირურგიული ოპერაციები და მათთან დაკავშირებული გამოკვლევები	70%; წლიური ლიმიტი –15,000 ლარი
ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა	80%; წლიური ლიმიტი –12,000 ლარი
მშობიარობა	500 ლარი; საკეისრო კვეთა –800 ლარი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა ასეთია:

	მიწა და საოფისე შენობები	საავადმყო ფოები და კლინიკები	ავიჯი და მოწყობილ ობები	კომპიუტერ ები	სამედიცინ ო აღჭურვილ ობა	ავტოსატრანსპორტო საშუალებე ბი	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობეს ება	დაუმთავრე ბელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება									
1 იანვარი, 2015 წ.	25	207,619	6,937	2,746	49,016	2,512	526	4,373	273,754
ზრდა									
საწარმოთა გაერთიანების გზით	-	92,693	2,442	2	22,702	133	-	7,341	125,313
შემოსვლები	-	11,581	1,713	3,974	42,123	1,840	5,207	2,314	68,752
გასვლები	-	(1,513)	(68)	(312)	(755)	(118)	(274)	-	(3,040)
შიდა გადაცემა	(25)	333	(2,470)	124	2,550	188	851	(1,551)	-
31 დეკემბერი, 2015 წ.	-	310,713	8,554	6,534	115,636	4,555	6,310	12,477	464,779
ზრდა საწარმოთა გაერთიანების გზით (მე-5 შენიშვნა)	-	13,296	114	17	1,282	897	-	-	15,606
გადაფასება (მე-19 შენიშვნა; 27-ე შენიშვნა)	-	12,846	-	-	-	-	-	-	12,846
შემოსვლები	-	54,221	3,492	2,455	44,803	139	877	5,134	111,121
გასვლები	-	(6,276)	(62)	(492)	(298)	(871)	-	-	(7,999)
გადატანები და შესწორებები	-	16,859	(1,963)	(1,836)	(15,884)	(635)	(169)	(16,859)	(20,487)
31 დეკემბერი, 2016 წ.	-	401,659	10,135	6,678	145,539	4,085	7,018	752	575,866

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

	მიწა და საოფისე შენობები	საავადმყო ფოები და კლინიკები	ავეჯი და მოწყობილ ობები	კომპიუტე რები	სამედიცინ ო აღჭურვილ ობა	ავტოსატრა ნსპორტო საშუალებე ბი	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობეს ება	დაუმთავრე ბელი მშენებლობა	სულ
დაგროვილი ცვეთა									
1 იანვარი, 2015 წ.	2	2,631	1,029	761	11,295	318	159	-	16,195
ცვეთის დანარიცხი	-	3,760	926	1,057	5,738	315	147	-	11,943
გასვლები	-	(116)	(22)	(4)	(477)	(2)	(98)	-	(719)
შიდა გადაცემა	(2)	49	30	22	(64)	4	(39)	-	-
31 დეკემბერი, 2015 წ.	-	6,324	1,963	1,836	16,492	635	169	-	27,419
ცვეთის დანარიცხი	-	1,965	1,211	1,116	11,307	762	702	-	17,063
გასვლები	-	(297)	(60)	(1)	(237)	-	-	-	(595)
გადაფასება	-	(7,814)	-	-	-	-	-	-	(7,814)
გადატანა და შესწორებები	-	-	(1,963)	(1,836)	(15,884)	(635)	(169)	-	(20,487)
31 დეკემბერი, 2016 წ.	-	178	1,151	1,115	11,678	762	702	-	15,586
წმინდა საბალანსო ღირებულება									
1 იანვარი, 2015 წ.	23	204,988	5,908	1,985	37,721	2,194	367	4,373	257,559
31 დეკემბერი, 2015 წ.	-	304,389	6,591	4,698	99,144	3,920	6,141	12,477	437,360
31 დეკემბერი, 2016 წ.	-	401,481	8,984	5,563	133,861	3,323	6,316	752	560,280

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ჯგუფი თავის საავადმყოფოების შენობებსა და დაუმთავრებელი მშენებლობის აქტივებს აგირავებს, როგორც ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის საგნებს. 2016 წლის 31 დეკემბრისთვის დაგირავებული შენობებისა და დაუმთავრებელი მშენებლობის საბალანსო ღირებულება 402,233 ლარს (2015 წ.: 316,866 ლარი) შეადგენდა. 2016 წლის განმავლობაში ჯგუფმა შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა საავადმყოფოებსა და კლინიკებთან მიმართებაში. თავისი საავადმყოფოებისა და კლინიკების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, ჯგუფმა 2016 წლის 1 ივლისს დამოუკიდებელი შემფასებელი დაიქირავა. ამის შედეგად, ჯგუფმა აღრიცხა გადაფასებით მიღებული 20,804 ლარის ოდენობის ზედმეტობა, საიდანაც 19,645 მიკუთვნებადი იყო კომპანიის აქციონერებისთვის, ხოლო 1,159 ლარი - არასაკონტროლო პაკეტისთვის. სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია საბაზრო მონაცემების შესაბამისად. ჯგუფის შენობა-ნაგებობების ბოლო გადაფასების ანგარიში დათარიღებულია 2016 წლის 1 ივლისით. მიწა და საოფისე შენობები, ასევე საავადმყოფოები და კლინიკები თვითღირებულების მოდელით რომ შეფასებულიყო, მათი საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი იქნებოდა:

	<i>31 დეკემბერი, 2016 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2015 წ.</i>
თვითღირებულება	388,669	310,713
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება	(7,888)	(6,324)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	380,781	304,389

9. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები

გუდვილის მოძრაობა ასე გამოიყურებოდა:

	<i>გუდვილი</i>
1 იანვარი, 2015 წ.	4,953
ზრდა საწარმოთა გაერთიანების გზით (მე-5 შენიშვნა)	12,298
31 დეკემბერი, 2015 წ.	17,251
ზრდა საწარმოთა გაერთიანების გზით (მე-5 შენიშვნა)	4,124
ცვლილება გნკო-ს გუდვილში (მე-5 შენიშვნა)	853
31 დეკემბერი, 2016 წ.	22,228

სხვა არამატერიალურ აქტივებში შედის ლიცენზიები და კომპიუტერული პროგრამები, რომელთა საბალანსო ღირებულებაც 2016 წლის 31 დეკემბრისთვის 12,284 ლარია (2015 წ.: 2,457 ლარი). 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გამოუვლენია არამატერიალური აქტივების გაუფასურება.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

	ზრდის ეფექტური წლიური განაკვეთი სამი წლის ფინანსურ ბიუჯეტებში:	გაუფასურების დასადგენად გამოყენებული კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება	31 დეკემბერი,	31 დეკემბერი,
			2016 წ.	2015 წ.
სს „ჩემი ოჯახის კლინიკა“	10.00%	13.0%	508	508
კარაპს მედლაინი	10.00%	13.0%	3,534	3,534
ტრავმატოლოგი	10.00%	13.0%	911	911
გნკო	10.00%	13.0%	12,282	11,429
შპს „კატასტროფის მედიცინის პედიატრიული ცენტრი“			869	869
შპს „ემერჯენსი სერვისი“	10.00%	13.0%	2,467	–
სს „პედიატრი“	10.00%	13.0%	963	–
შპს „პატჯეო“	10.00%	13.0%	694	–
სულ			22,228	17,251

გუდვილის გაუფასურების ტესტირების ჩატარებისას შემდეგი ძირითადი დაშვებები გაკეთდა:

- კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება გამოყენებული იქნა პროგნოზირებული ფულადი ნაკადების დისკონტირების განაკვეთად. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება გაანგარიშდა კაპიტალური აქტივების ფასდადების მოდელის გამოყენებით, ჯგუფის აქციების ბაზრის ბეტაზე დაყრდნობით.
- 2017, 2018 და 2019 წლების ფულადი ნაკადების პროგნოზები მოდელირებული იქნა 10%-იანი ზრდის ტემპის გათვალისწინებით.
- საშუალო, სტაბილური 4%-იანი რეალური მშპ-ის ზრდა ნავარაუდები იქნა 2020 წლისა და მისი შემდგომი წლებისთვის გაკეთებული გარე სტატისტიკური პროგნოზების საფუძველზე.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებულ ძირითად დაშვებებში გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილებები არ გამოიწვევს გუდვილის გაუფასურებას. ჯგუფი ყოველწლიურად ატარებს გუდვილის გაუფასურების ტესტირებას. ბოლო ტესტირება 2016 წლის 31 დეკემბრისთვის ჩატარდა. 2016 წელს გუდვილის გაუფასურების ტესტირების მიზნებისთვის ევექსი განიხილებოდა, როგორც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთი ერთეული. ჯგუფს არ გამოუვლენია გუდვილის რამე გაუფასურება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების აღდგენითი ღირებულებები განისაზღვრა ხელმძღვანელობის ზედა რგოლის მიერ დამტკიცებულ, ერთიდან სამ წლამდე ვადის, ფინანსურ ბიუჯეტებზე დაყრდნობით ფულადი ნაკადების პროგნოზების გამოყენებით გაანგარიშებული გამოყენების ღირებულების საფუძველზე.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს:

	<i>2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ ლი წლისათვის</i>	<i>2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ ლი წლისათვის</i>
მიმდინარე გადასახადის სარგებელი	3,040	(1,253)
გადავადებული საგადასახადო სარგებელი – დროებითი სხვაობების წარმოშობა და შემობრუნება	19,014	1,560
მოგების გადასახადის სარგებელი	22,054	307

საქართველოში იურიდიულმა პირებმა ინდივიდუალური საგადასახადო დეკლარაციები უნდა წარადგინონ. მოგების გადასახადის კანონმდებლობით გათვალისწინებული განაკვეთი 2016 წლის 31 დეკემბრითა და 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს 15%-ს შეადგენდა.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლითაც დამტკიცდა ცვლილება მოგების დაბეგვრის არსებულ მოდელში. ცვლილება ჯგუფზე ვრცელდება 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელი ითვალისწინებს ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან საგადასახადო განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. ჯგუფი მიიჩნევს, რომ ახალი რეჟიმი ფაქტობრივად ძალაში შევიდა 2016 წლის ივნისში და ამიტომ ხელახლა შეაფასა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანად ჩამოწერა ისინი მოგების გადასახადის სარგებელში.

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთისგან. ქვემოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი შესაბამისობაშია მოყვანილი გადასახადის რეალურ ოდენობასთან:

	<i>2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ ლი წლისათვის</i>	<i>2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ ლი წლისათვის</i>
დასაბეგრი მოგება ფასს-ის მიხედვით	50,108	22,236
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	(7,516)	(3,335)
საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილების ეფექტი წინა წლის დეკლარაციის შესწორება	20,377	-
მოგება, რომელიც დაბეგვრას არ ექვემდებარება	4,613	1,588
გამოუქვითავი ხარჯები	4,585	2,522
გამოუქვითავი ხარჯები	(5)	(468)
მოგების გადასახადის სარგებელი	22,054	307

შემოსავალი, რომელიც დაბეგვრას არ ექვემდებარება, ძირითადად შედგება გამოყენებული საინვესტიციო საგადასახადო კრედიტისა და გადასახადით დაუბეგრავი სხვა კორექტირებებისგან. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, მოგების რეინვესტიცია სამედიცინო სფეროში არ იბეგრება

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. გადასახადები (გაგრძელება)

გადასახადით. განსჯის საფუძველზე ფასდება და განისაზღვრება მიმდინარე წლის მოგების ის ნაწილი, რომელსაც ჯგუფი მომდევნო სამი წლის განმავლობაში ხელახლა დააბანდებს თავის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობაში. მიმდინარე წლის მოგებიდან ის თანხა, რომლის რეინვესტირებაც მომავალში სავარაუდოდ მოხდება, ეყრდნობა ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ საშუალოვადიან (მიმდინარე წლის შემდგომი სამი წლის) ბიზნესგეგმას.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. გადასახადები (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი მოძრაობა ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ასე გამოიყურება:

	1 იანვარი, 2015 წ.	მოგება- ზარალის ანგარიშგებაში	საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი	31 დეკემბერი, 2015 წ.	მოგება- ზარალის ანგარიშგებაში	საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი	31 დეკემბერი, 2016 წ.
გამოსაქვითი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი							
მომდევნო პერიოდზე გადატანილი საგადასახადო ზარალი	2,954	1,009	–	3,963	(3,963)	–	–
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	798	732	–	1,530	(1,530)	–	–
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	696	324	988	2,008	(2,008)	–	–
ნასესხები სახსრები	–	(89)	–	(89)	89	–	–
სხვა აქტივები	234	(90)	–	144	(144)	–	–
გადავადებული საგადასახადო აქტივები	4,682	1,886	988	7,556	(7,556)	–	–
გადასახადის გავლენა დასაბეგრ დროებით სხვაობაზე:							
ძირითადი საშუალებები	10,374	997	13,443	24,814	(26,197)	1,383	–
გამომშვებელი სავალო ფასიანი ქაღალდები	–	117	–	117	(117)	–	–
არამატერიალური აქტივები	–	60	–	60	(60)	–	–
სხვა ვალდებულებები	1,044	(848)	–	196	(196)	–	–
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	11,418	326	13,443	25,187	(26,570)	1,383	–
წმინდა გადავადებული საგადასახადო (ვალდებულება) აქტივი	(6,736)	1,560	(12,455)	(17,631)	19,014	(1,383)	–

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. გადასახადები (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითვას დაექვემდებარება, თუ კანონით გათვალისწინებულია მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებებთან გაქვითვის უფლება; ამასთან, როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები უკავშირდება იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ დასაბეგრ კომპანიაზე ან კომპანიებზე დაკისრებულ მოგების გადასახადებს და როდესაც არსებობს ნაშთების ურთიერთგაქვითვის განზრახვა.

საქართველოში სახელმწიფო ორგანოების მიერ დაკისრებულ სხვადასხვა გადასახადთან დაკავშირებით რამდენიმე კანონი მოქმედებს. მათ შორისაა დამატებითი ღირებულების, მოგების და ბრუნვიდან გადასახადები. სხვა უფრო განვითარებული ეკონომიკური ბაზრებისგან განსხვავებით ამ გადასახადების შესახებ კანონები დიდი ხანი არაა, რაც მოქმედებს. ამიტომ ნორმატიული აქტები ხშირად ბუნდოვანია ან საერთოდ არ მოიძებნება, ან არასაკმარისი პრეცედენტი არსებობს. ამის გამო საგადასახადო რისკები საქართველოში ჩვეულებრივ გაცილებით მაღალია, ვიდრე უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემის მქონე ქვეყნებში.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი არსებითად აკმაყოფილებს იმ საგადასახადო კანონებს, რომლებიც მის საქმიანობას ეხება. ამის მიუხედავად, მაინც არსებობს იმის რისკი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ამა თუ იმ კანონის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოახდინონ. ჯგუფის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, მათ შორის არსებული და სამომავლო კანონმდებლობისა და საგადასახადო კოდექსის პრაქტიკაში განხორციელება და ინტერპრეტაცია. მსგავს მოვლენებსა და მათ შედეგებს შეიძლება გადამწყვეტი გავლენა ჰქონდეს ჯგუფის საქმიანობაზე და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოში.

11. სხვა აქტივები

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	<i>31 დეკემბერი, 2016 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2015 წ.</i>
წარმოებული ფინანსური აქტივები	6,277	–
გაცემული სესხები	19,142	3,931
აკრედიტივებიდან მისაღები თანხები	–	3,086
საიჯარო ანაზარი	1,853	–
წინასწარ გადახდილი საოპერაციო გადასახადი	237	1,401
არასამედიცინო საქმიანობიდან მისაღები ანგარიშები	5,599	4,501
სხვა	993	3,622
სულ სხვა აქტივები, მთლიანი	34,101	16,541
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი	(3,201)	(1,583)
სულ სხვა აქტივები, წმინდა	30,900	14,958

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მიერ გაცემული სესხები ძირითადად მოიცავდა მშობელი კომპანიისთვის გაცემულ სესხებს 16,324 ლარის ოდენობით. გაცემული სესხების დარჩენილი ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ჯგუფის მფლობელობაში არსებული სს „მ2 უძრავი ქონების“ და შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ მიერ გაცემულ სავალო ფასიანი ქაღალდებს, ასევე შპს „PP“-ისთვის გაცემულ 2,698 ლარისა და ტვილდიანის კლინიკისთვის გაცემულ 120 ლარის სესხებს. სამივე კომპანია ჯგუფის დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს. 2015 წლის 31 დეკემბრის

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. სხვა აქტივები (გაგრძელება)

მდგომარეობით, ჯგუფის მიერ გაცემული სესხები ძირითადად მოიცავდა ფოთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოსთვის და მისი მშობელი კომპანიისთვის - „ბლოკ ჯორჯია ჯგუფისთვის“ გაცემულ სესხებს. 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში, ჯგუფმა მოიპოვა ფოთზე კონტროლი მანამდე არსებული სესხებისა და ვალდებულებების გაქვითვის სანაცვლოდ (მე-5 შენიშვნა).

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საიჯარო ანაზარი მოიცავდა კონტრაქტისთვის ამბულატორიული კლინიკის იჯარაზე გადახდილ ავანსებს. საიჯარო გადასახადი ანაზარზე განთავსებულ თანხასთან გადახდის თარიღისთვის გაიქვითა.

12. ნასესხები სახსრები

ნასესხებ სახსრებში შედის:

	<i>31 დეკემბერი, 2016 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2015 წ.</i>
ადგილობრივი დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	65,824	99,888
უცხოური ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	81,754	-
აქციონერებისგან ნასესხები სახსრები	5,756	5,013
ოვერდრაფტები ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან	2,843	-
ნასესხები სახსრები, სულ	156,177	104,901

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს, ადგილობრივი დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრების საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი 10.55% იყო (2015 წ.: 13.79%), ხოლო ვადა - საშუალოდ 1,359 დღე (2015 წ.: 1,779 დღე). საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრების საშუალო საპროცენტო განაკვეთი იყო LIBOR + 3.98% (5.22%) (2015 წ.: საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან არ ჰქონდა ნასესხები სახსრები), ხოლო ვადა 2,389 დღე (2015 წ.: საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებები არ ჰქონდა ნასესხები სახსრები). ზოგიერთი სესხი მიღებულია გარკვეული პირობებით, როგორცაა მოზიდული სახსრების წილის, კაპიტალური ინვესტიციების, უძრავი ქონების მინიმალური ოდენობის და სხვ. სხვადასხვა ლიმიტის შენარჩუნება. 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი კრედიტორების ყველა პირობას აკმაყოფილებდა. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა 25 მილიონი აშშ დოლარის აუთვისებელი სასესხო დავალიანება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიმართ და 4 მილიონი აშშ დოლარის აუთვისებელი სასესხო დავალიანება პროპარკოს მიმართ.

13. კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება მოიცავს შემდეგს:

	<i>31 დეკემბერი, 2016 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2015 წ.</i>
ჯანდაცვის მასალებისა და მარაგებისთვის გადასახდელი თანხები	11,630	20,281
ჯანდაცვის მომსახურებისთვის გადასახდელი თანხები	3,902	3,340
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადასახდელი თანხები	9,407	5,295
სხვა მომსახურებისთვის გადასახდელი თანხები	7,455	5,311
სხვა კრედიტორული დავალიანება	646	438
კრედიტორული დავალიანება, სულ	33,040	34,665

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

14. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

2015 წლის ივნისში ევექსმა გამოუშვა 15 მილიონი აშშ დოლარის (34.2 მილიონი ლარის) 2-წლიანი ვადის მქონე ადგილობრივი ობლიგაციები. ობლიგაციები გამოუშვა ნომინალური ღირებულებით, და მათი წლიური კუპონის განაკვეთი იყო 9.5%, ყოველ ექვს თვეში ერთხელ დაფარვის პირობით. 2016 წელს, ჯგუფმა ნაადრევად გამოსყიდა 3,497 ლარის სავალო ფასიანი ქაღალდები და ამ გარიგებაზე მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა. 2016 წლის 31 დეკემბრისთვის დაუფარავი ნაშთი 36,024 ლარს შეადგენდა (2015 წ.: 35,537 ლარი).

15. ფინანსური იჯარის ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულებები მოიცავს თბილისში მდებარე სამი ამბულატორიული კლინიკის (ორი თბილისში და ერთი ბათუმში, დასავლეთ საქართველოში) მინიმალურ საიჯარო გადასახდელებს და გამოსყიდვის ოფციონის ფასს, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ერთ წლამდე ვადაში. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური იჯარით მიღებული ქონების წმინდა საბალანსო ღირებულება 13,418 ლარი იყო. სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახდელებისა და გამოსყიდვის ოფციონის არადისკონტირებული ღირებულება გაუტოლდა 15,089 ლარს (30-ე შენიშვნა), ხოლო ამავე თანხების დისკონტირებულმა ღირებულებამ 14,878 ლარი შეადგინა. ამ ორ მაჩვენებელს შორის 211 ლარის სხვაობა მთლიანად შედგებოდა დისკონტირების 6%-იანი ნაგულისხმევი განაკვეთისგან. ოფციონის ვადის ამოწურვისას, ფინანსური იჯარის ხელშეკრულებებში ჩართული შესყიდვის ოფციონი ავტომატურად ახლდება, თუ კონტრაქტი არ მოითხოვს გამოსყიდვის ახალ ფასს ოფციონის ვადის ამოწურვიდან რამდენიმე დღის განმავლობაში. ფინანსური იჯარის ხელშეკრულებების ფარგლებში ყველა გადახდას ვადა უწევს ერთი წლის განმავლობაში.

16. აქციების შესყიდვებზე გადასახდელი ანგარიშები

აქციების შესყიდვებზე გადასახდელი ანგარიშები (იგივე „დაკავებული თანხა“ ან „შესყიდვისას დაკავებული თანხა“) აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებისთვის და არსებულ შვილობილ კომპანიებში არასაკონტროლო პაკეტის შექმნისთვის გადასახდელ თანხებს. საწარმოთა გაერთიანებისთვის გადასახდელი ანგარიშები არის მთლიანი საზღაურის ნაწილი, რომლის გადახდაც გადავადებულია კონკრეტული ვადით სამომავლოდ და, ჩვეულებრივ, დამოკიდებულია, გარკვეულ მოვლენებზე ან წინაპირობებზე, ან მყიდველის მიერ დაწესებულ პირობებზე. ეს პირობებია: (i) აუდიტირებული მთლიანი კაპიტალის ნაშთი ფასს-ის მიხედვით არსებითად არ უნდა განსხვავდებოდეს მმართველობითი აღრიცხვის გარიგების თარიღისთვის არსებული გატარებებისგან; (ii) არ უნდა ფიქსირდებოდეს არსებითი აღურიცხავი ვალდებულებები; (iii) შეძენილი საწარმოს და/ან მისი დაკავშირებული მხარეების ნებისმიერი ვალდებულება მყიდველი საწარმოს მიმართ არ უნდა დარჩეს გადაუხდელი შესყიდვის შემდეგ წინასწარ განსაზღვრულ პერიოდზე დიდხანს. მას შემდეგ, რაც შესრულდება წინაპირობები, დაკავებული თანხა ან სრულად გადაიხდება, ან დაკორექტირდება წილის ნასყიდობის ხელშეკრულებაში თითოეული კონკრეტული საწარმოთა გაერთიანებისთვის გათვალისწინებული პირობების მიხედვით.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წილის შესყიდვისთვის გადასახდელი თანხა მოიცავდა შპს „ემერჯენსი სერვისის“ შესყიდვისთვის 2,850 ლარის ოდენობის დაკავებულ თანხას და სს „პედიატრის“ შესყიდვისთვის 347 ლარის ოდენობის დაკავებულ თანხას. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მიერ წილის ნასყიდობისთვის გადასახდელი თანხა მოიცავდა გნკო-სა და დეკას შესყიდვის გარიგებებიდან წარმომდგარ და მათთან დაკავშირებით გადასახდელ თანხებს, შესაბამისად, 21,513 ლარისა და 562 ლარის ოდენობით.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	<u>31 დეკემბერი, 2016 წ.</u>	<u>31 დეკემბერი, 2015 წ.</u>
მიმდინარე სასამართლო დავებისთვის შექმნილი რეზერვი	1,881	1,533
გადასახდელი საოპერაციო გადასახადი	4,775	3,048
სხვა	20	1,452
სხვა ვალდებულებები, სულ	<u>6,676</u>	<u>6,033</u>

მიმდინარე სასამართლო დავებისთვის რეზერვები ძირითადად განპირობებულია შექმნილი კომპანიებით. რეზერვი შეიქმნა შექმნისას და მისი გათვალისწინება მოხდა კომპანიის შექმნისას საწარმოთა გაერთიანების საზღაურის განსაზღვრის პროცესში.

18. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

საქმიანობის ჩვეულებრივი მსვლელობისას, ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა აღიძრას სარჩელები. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს სასამართლო დავა ჰქონდა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ჯამში 3,765 ლარის თანხაზე. დავა ძირითადად უკავშირდებოდა საპროცესო დარღვევებს სამედიცინო დოკუმენტაციაში, ასევე ბილინგისა და ანგარიშგაქტურების გამოწერის პროცესში. ჯგუფის იურიდიულმა ამასთან დაკავშირებული რისკი შეაფასა, როგორც შესაძლო, მაგრამ არა მოსალოდნელი.

გადასახადები

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. შესაბამის საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ექვექვე დააყენონ ხელმძღვანელობის მხრიდან კანონმდებლობის ამგვარი ინტერპრეტაციები ჯგუფის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ და ამის გამო შეიძლება ის ოპერაციები და საქმიანობა, რომლებიც წარსულში ექვექვე არ დამდგარა, ახლა სადავო გახდეს. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ შემოწმების პერიოდის წინა ხუთი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისებური განმარტება ჯეროვანია და რომ ჯგუფის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

პირობითი ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფის პირობითი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	<i>31 დეკემბერი, 2016 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2015 წ.</i>
კაპიტალური დაბანდების ვალდებულება	12,567	16,816
ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან		
- იჯარა, რომლის ვადაც იწურება მაქსიმუმ 1 წელიწადში	2,724	1,284
- იჯარა, რომლის ვადაც იწურება მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 5 წელიწადში	16,281	6,858
სულ პირობითი ფინანსური ვალდებულებები	31,572	24,958

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს, ასევე 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს, კაპიტალური დაბანდების ვალდებულება მოიცავდა საქართველოში ამბულატორიული კლინიკების მშენებლობასთან დაკავშირებულ კონტრაქტებს. ჯგუფს არ ჰქონდა პირობითი საიჯარო ქირა ან ქვეიჯარის გადახდები. წლის განმავლობაში აღიარებული საიჯარო ხარჯი 1,388 ლარს გაუტოლდა (2015 წ.: 494 ლარი).

19. საკუთარი კაპიტალი

2016 წელს გამოშვებული აქციების ოდენობაში შემდეგი ცვლილებები შევიდა:

	<i>ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა</i>	<i>ჩვეულებრივი აქციების თანხა</i>
1 იანვარი, 2015 წ.	24,165,127	24,165
სააქციო კაპიტალის გამოშვება	22,674,785	22,675
31 დეკემბერი, 2015 წ.	46,839,912	46,840
სააქციო კაპიტალის გამოშვება	6,235,896	6,236
31 დეკემბერი, 2016 წ.	53,075,808	53,076

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ევექსის მიმოქცევაში არსებული აქციების რაოდენობა იყო 53,075,808 (2015 წ.: 46,839,912). თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება 0.1 ლარს შეადგენდა და მათგან ყველა სრულად იყო განაღდებული. ჯგუფის საწესდებო კაპიტალი აქციონერების მიერ განაღდებულია ლარში და დივიდენდების მიღების უფლებაც ლარში ჰქონდათ. 2016 და 2015 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ განაწილებულა.

2015 წლის ნოემბერში, ევექსის მშობელმა კომპანიამ - საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფმა აქციების პირველადი განთავსების ფარგლებში წარმატებით განათავსა აქციები ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ ლისტინგში. განთავსებული აქციების რაოდენობამ შეადგინა 38,681,820, ხოლო განთავსების ოდენობა დაახლოებით 66 მილიონს გაუტოლდა, რაც საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის საწესდებო კაპიტალის დაახლოებით 29%-ია საფონდო ბირჟაზე დაშვების დროისთვის, დამატებითი განთავსების ოფციონის გათვალისწინების გარეშე. სიტვირუპ გლობალ მარკეტს ლიმიტედს (Citigroup Global Markets Limited) მიენიჭა დამატებითი განთავსების ოფციონი, რომელიც გამოიყენა 2015 წლის ნოემბერში 3,868,180 აქციასთან მიმართებაში, რაც განთავსების 10 პროცენტს შეადგენს. აქციების პირველად განთავსებასთან დაკავშირებული დანახარჯების ნაწილი გასწია ევექსმა და პირდაპირ დადებულა კაპიტალში. დანახარჯები მოიცავდა აქციების პირველად განთავსებასთან დაკავშირებით დარიცხულ ფულად ბონუსებს 200 ლარის ოდენობით, აქციების პირველად განთავსებასთან დაკავშირებული პროფესიული მომსახურების, მათ შორის აუდიტის, ხარჯებს 1,059 ლარის ოდენობით, აქციების პირველად

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

19. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

განთავსებასთან დაკავშირებულ სამივლინებო ხარჯებს 402 ლარის ოდენობით და აქციების პირველად განთავსებასთან დაკავშირებულ სხვა დანახარჯებს 18 ლარის ოდენობით. აქციების პირველადი განთავსების გარიგების დანახარჯებთან დაკავშირებული 265 ლარის საგადასახადო ეფექტი გამოიქვითა გარიგების დანახარჯებში.

2016 წელს 20,804 ლარის აღიარება მოხდა სხვა სრულ შემოსავალში საავადმყოფოებისა და კლინიკების გადაფასებით მიღებული ზედმეტობის სახით. მთლიანი თანხიდან 19,645 მიკუთვნებადი იყო კომპანიის აქციონერებისთვის, ხოლო 1,159 ლარი - არასაკონტროლო პაკეტისთვის.

2016 წლის ივლისიდან სექტემბრამდე პერიოდში ჯგუფმა შეისყიდა მშობელი კომპანიის 227,835 აქცია ლია ბაზარზე 2,310 ლარის ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ, ექიმებისა და საშუალო რგოლის ხელმძღვანელებისთვის წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაციის გაცემის მიზნით.

ერთ აქციაზე როგორც საბაზისო, ისე განზავებული შემოსავლის გაანგარიშების მიზნით, ჯგუფმა მრიცხველად გამოიყენა კომპანიის აქციონერებისთვის მიკუთვნებადი წლის მოგება და წლის სრული შემოსავალი 61,034 ლარისა (2015 წ.: 18,577 ლარი) და 80,679 ლარის (2015 წ.: 18,577 ლარი) ოდენობით, შესაბამისად, ხოლო მნიშვნელად - 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში მიმოქცევაში არსებული აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა 52,556,150-ის ოდენობით (2015 წ.: 28,997,379).

სხვა რეზერვების ხასიათი და დანიშნულება

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი გამოიყენება საოფისე შენობების და საავადმყოფოებისა და კლინიკების სამართლიანი ღირებულების გაზრდის და შემცირებების აღრიცხვისათვის, იმ პირობით, თუ ამგვარი შემცირება უკავშირდება კაპიტალში ადრე ასახული იმავე აქტივის ზრდას. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი შეადგენდა 20,021 ლარს (2015 წ.: 376)

არსებულ შვილობილ კომპანიებში წილის გაყიდვიდან/ყიდვიდან მიღებული მოგება (ზარალი)

2016 წლის მარტში ჯგუფმა იყიდა დარჩენილი, უმცირესობის კუთვნილი 33.3%-იანი წილი თავის უმსხვილეს პედიატრიულ საავადმყოფოში, იაშვილის რეფერალურ საავადმყოფოში, რომელშიც ჯგუფი 66.7%-იან საკონტროლო პაკეტს ფლობს 2014 წლის თებერვლიდან. იაშვილში 33.3%-იანი უმცირესობის წილის სანაცვლოდ ევექსმა გადაიხადა ფულადი ანაზღაურება 1.0 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით და არაფულადი ანაზღაურება - თბილისის სამშობიარო საავადმყოფო „ახალი სიცოცხლის“ აქციები გადასცა უმცირესობის წილის გამყიდველს. შესყიდვის შედეგად მიღებული მოგება 466 ლარს შეადგენდა.

2015 წლის თებერვალში ჯგუფმა დამატებით შეიძინა 25%-იანი წილი არსებულ შვილობილ კომპანიაში - შპს „ბავშვთა ახალ კლინიკაში“, რომელშიც ჯგუფი მანამდე 75%-იან წილს ფლობდა. დამატებითი წილის შესყიდვა არსებულ შვილობილ კომპანიებში 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს ამ გარიგებიდან გამომდინარეობს. 3,265 ლარის არასაკონტროლო პაკეტის შესყიდვისთვის ჯგუფის მიერ გადახდილი საზღაური შეადგენდა 2,011 ლარს. შესყიდვის შედეგად მიღებული მოგება 1,254 ლარს შეადგენდა.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

19. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

სხვა რეზერვების ხასიათი და დანიშნულება (გაგრძელება)

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ შვილობილ კომპანიებში წილის გაყიდვა/ყიდვის შედეგად მიღებული ზარალი უდრიდა 15,282 ლარს (2015 წ.: 15,748 ლარი).

20. შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან

შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან მოიცავს შემდეგს:

	<i>2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ ლი წლისათვის</i>	<i>2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ ლი წლისათვის</i>
სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან თანაგადახდის და სხვ. შედეგად მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	179,354	148,855
სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	48,991	34,801
გამოკლებული: შესწორება და ფასჩამოკლება	(2,686)	(3,608)
სულ შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	243,453	191,424

სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან წარმოდგენილია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან მიღებული შემოსავლით. პროგრამის დეტალური აღწერა მოცემულია ზემოთ, მე-7 შენიშვნაში.

21. ჯანდაცვის მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები

ჯანდაცვის მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები მოიცავს შემდეგს:

	<i>2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ ლი წლისათვის</i>	<i>2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ ლი წლისათვის</i>
ხელფასებისა და თანამშრომელთა სხვა სარგებლის ხარჯი	(80,397)	(68,014)
წვდომისა და მასალების თვითღირებულება	(38,059)	(29,097)
კომუნალური და სხვ. ხარჯი	(10,071)	(7,756)
მომსახურების მომწოდებლების დანახარჯი	(1,842)	(2,424)
სულ ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	(130,369)	(107,291)

კომუნალურ და სხვა ხარჯებში შედის ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის, დასუფთავების, წყალმომარაგების, საწვავის, სამედიცინო აპარატურის სარემონტო სამუშაოებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები. არაპირდაპირი ხელფასები, რომლებიც არ აისახა ჯანდაცვის მომსახურებაზე გაწეულ დანახარჯებში 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს შეადგენდა 20,977 ლარს (2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი: 22,097 ლარი) და წარმოდგენილი იყო ცალკე მუხლად მოგებაში ან ზარალში. 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგებაში ან ზარალში ხარჯად აღიარებული ხელფასებისა და თანამშრომელთა სხვა სარგებლის მთლიანმა თანხამ შეადგინა 101,374 ლარი (2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი: 90,111 ლარი).

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

22. სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი მოიცავს:

	<i>2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ ლი წლისათვის</i>	<i>2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ ლი წლისათვის</i>
საიჯარო შემოსავალი	1,103	876
წამლების გადაყიდვით მიღებული მოგება	342	344
შემოსავალი ფაქტორინგული ოპერაციებიდან	–	66
აღჭურვილობის გაყიდვით მიღებული მოგება	226	171
სხვა	388	2,644
სხვა საოპერაციო შემოსავალი, სულ	2,059	4,101

2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს სხვა საოპერაციო შემოსავლის „სხვა“ მუხლი ძირითადად მოიცავდა სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს“ გაკოტრების შედეგად გაწეული საკრედიტო ზარალის კომპენსირებისთვის მთავრობისგან უპროცენტო ვალდებულების დისკონტირების შედეგად მიღებულ მოგებას 590 ლარის ოდენობით, რეზერვის შემობრუნებით მიღებულ სარგებელს 1,060 ლარის ოდენობით, სამედიცინო კვლევებიდან მიღებულ შემოსავალს 168 ლარის ოდენობით და შენობის გაყიდვით მიღებულ სარგებელს 106 ლარის ოდენობით.

23. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი მოიცავს შემდეგს:

	<i>2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ ლი წლისათვის</i>	<i>2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ ლი წლისათვის</i>
ხელფასები და სხვა სარგებელი	(17,326)	(19,468)
პრემიები ფულადი სახით	(1,447)	(1,830)
წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია	(2,204)	(799)
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(20,977)	(22,097)

სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლების საშუალო რაოდენობა, მათ შორის იმ თანამშრომლებისაც, ვისი ხელფასებიც შეტანილია ჯანდაცვის მომსახურებაზე გაწეულ დანახარჯებში, 2016 წელს 9,947-ს გაუტოლდა (2015 წ.: 8,496).

2016 წელს ხელმძღვანელობის წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაციის მთლიანი თანხა შესაბამისი დანახარჯების კაპიტალიზაციამდე 3,665 ლარს შეადგენდა (2015 წ.: 968 ლარი).

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

24. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	<i>2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ი წლისათვის</i>	<i>2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის</i>
საოფისე მარაგები	(2,596)	(2,037)
რემონტის, ტექნიკური მომსახურებისა და იჯარის ხარჯები	(2,691)	(962)
საკომუნიკაციო ხარჯები	(717)	(671)
პროფესიული მომსახურება	(149)	169
წარმომადგენლობითი ხარჯები	(552)	(594)
მარკეტინგი და რეკლამა	(1,857)	(748)
მგზავრობის ხარჯები	(688)	(557)
ბანკებისთვის გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო	(254)	(166)
დაცვა-უსაფრთხოება	(213)	(87)
სხვა	(1,769)	(1,770)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	(11,486)	(7,423)

2016 წლის 31 დეკემბრითა და 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წლებში სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები ძირითადად მოიცავდა ტრენინგის, ქონების გადასახადის, ქონების დაზღვევისა და ოპერაციებთან დაკავშირებული სხვა გადასახადების ხარჯებს.

პროფესიული მომსახურების ხარჯის უარყოფითი თანხა 2015 წელს იმ ფაქტით იყო გამოწვეული, რომ 2014 წელს ჯგუფი დარწმუნებული იყო იქნებოდა აქციების პირველადი და მეორადი განთავსება და ამ მიზნით კაპიტალისა და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გადაანაწილა აქციების განთავსებასთან დაკავშირებული დანახარჯები. ამის მიუხედავად, 2015 წელს გადაწყდა, რომ მხოლოდ აქციების პირველადი განთავსება განხორციელდებოდა. ამის შედეგად, აქციების განთავსების ოპერაციასთან დაკავშირებული აუდიტის ხარჯები, რომლებიც აღიარებული იყო 2014 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, შემობრუნდა 2015 წლის ხარჯებიდან და პირდაპირ კაპიტალში დადებულა.

25. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშებისა და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება

ჯანდაცვის მომსახურებისა და სხვა დებიტორული ანგარიშების რეზერვის მოძრაობა ასეთი იყო:

	<i>ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები და სხვა ანგარიშები</i>
1 იანვარი, 2015 წ.	6,272
გაუფასურების ხარჯი	3,140
ჩამოწერები	-
31 დეკემბერი, 2015 წ.	9,412
გაუფასურების ხარჯი	1,881
ამოღება/რეკლასიფიკაცია	2,938
31 დეკემბერი, 2016 წ.	14,231

აქტივების გაუფასურების რეზერვი გამოიქვითება შესაბამისი აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

26. საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი მოიცავს შემდეგს:

	<i>2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ ლი წლისათვის</i>	<i>2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ ლი წლისათვის</i>
საპროცენტო შემოსავალი		
გაცემულ სესხებზე საპროცენტო შემოსავალი	773	901
სულ საპროცენტო შემოსავალი	773	901
საპროცენტო ხარჯი		
სესხებზე საპროცენტო ხარჯი	(10,252)	(20,061)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო ხარჯი	(3,246)	(993)
სულ საპროცენტო ხარჯი	(13,498)	(21,054)

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, განსაკუთრებულ ძირითად საშუალებებზე საპროცენტო ხარჯის კაპიტალიზაციის ოდენობა შეადგენდა 2,484 ლარს (2015 წ.: 1,063 ლარი).

27. წმინდა არარეგულარული (ხარჯი) / შემოსავალი

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წმინდა არარეგულარული ხარჯი მოიცავდა შემდეგს:

- 2,348 ლარის მოგება კლინიკა „ახალი ცხოვრების“ გასხვისებიდან;
- 2,938 ლარის ზარალი ძველი დებიტორული დავალიანების ერთჯერადი ჩამოწერიდან;
- 1,670 ლარის მოგება დათმობილი კრედიტორული დავალიანების ჩამოწერიდან;
- 200 ლარის ზარალი საკონტრაქტო პირობებზე, რომელთა გამოსწორებაც 2017 წლის მეორე ნახევარშია მოსალოდნელი;
- 3,500 ლარის მოგება გნკო-ს ძირითადი საშუალებების გაუფასურების შემობრუნებიდან;
- 2,714 ლარის ზარალი ვადაგადაცილებული სესხების ჩამოწერიდან;
- 3,206 ლარის მოგება სს „ფოთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს“ ხელსაყრელი შესყიდვის შედეგად.
- 433 ლარის ჯარიმები სოციალური მომსახურების სააგენტოს ინსპექტირების შედეგად;
- 300 ლარის ჯარიმები სხვადასხვა საგადასახადო შემოწმების შედეგად;
- 449 ლარის სხვა ჯარიმები კონტრაქტებისგან;
- 269 ლარის ზარალი კონტრაქტებთან შეჯერების შედეგად კრედიტორული დავალიანების კორექტირებიდან
- 134 ლარის ერთჯერადი ზარალი სასამართლო დავებიდან;
- 144 ლარის წმინდა ზარალი საავადმყოფოებისა და კლინიკების გადაფასებიდან;
- 139 ლარის წმინდა მოგება სხვა ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე გარიგებებიდან.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

27. წმინდა არარეგულარული (ხარჯი) / შემოსავალი (გაგრძელება)

2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წმინდა არარეგულარული ხარჯი მოიცავს შემდეგს:

- შპს „დეკას“ ხელსაყრელი შესყიდვის შედეგად მიღებული 5,359 ლარის მოგება;
- სხვადასხვა აქტივის ჩამოწერის შედეგად განცდილი 2,018 ლარის ზარალი;
- გნკო-ს დაკავებული თანხის გადაფასებისას განცდილი 1,577 ლარის საკურსო ზარალი;
- საქართველოს შემოსავლების სამსახურის ინსპექციის შედეგად დაკისრებული 970 ლარის საგადასახადო ჯარიმა;
- 812 ლარის ზარალი კონტრაქტზე, რომლის გაუქმებაც 2016 წელს იგეგმება;
- 483 ლარის ხარჯი სხვადასხვა ჯარიმებიდან, ნასესხები სახსრების წინსწრებით დაფარვის ჩათვლით;
- 372 ლარის ხარჯი შემენილი კლინიკების რეორგანიზაციის გამო თანამშრომლების დათხოვნის შედეგად;
- საქართველოს დედაქალაქის - თბილისის წყალდიდობასთან დაკავშირებულ საქველმოქმედო საქმიანობაზე გაწეული 35 ლარის ხარჯი;
- 51 ლარის ზარალი სხვა ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე გარიგებებიდან.

28. წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია

Sanne Fiduciary Services (შემდგომში „სატრასტო კომპანია“) გამოდის ნდობით აღჭურვილ პირად ჯგუფის „აღმასრულებელი პირების წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაციის სქემაში“ (შემდგომში „EECP“). იგი შეიმუშავა ჯგუფის მშობელმა კომპანიამ. წილობრივი კომპენსაციის გადახედვა, დამტკიცება, გაცემა და შემდეგ ანგარიშსწორება ხდება საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის მიერ EECP-ისა და სატრასტო კომპანიის მეშვეობით. ჯგუფი სატრასტო კომპანიაში შენატანებს ხორციელებს EECP-ის ფარგლებში გასაცემი კომპენსაციების შესაბამისად. სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფს“ სამართლებრივი ვალდებულება აქვს გასცეს კომპენსაცია. კომპენსაციების გაცემისას ევექსი გამოდის მშობელი კომპანიისა და საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის აგენტად. იმის გამო, რომ ჯგუფი არ მოელის დივიდენდების გადახდას შემდგომ წლებში, ისინი არ ასახულა პროგრამის სამართლიანი ღირებულების შეფასებაში.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG) კომპენსაციის სქემა

2016 წლის თებერვალში GHG-ის დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა GHG-ის 237,500 ჩვეულებრივი აქციის გადაცემა ჯგუფის გენერალური დირექტორისთვის. 2016 წლის თებერვალში საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა GHG-ის 281,000 ჩვეულებრივი აქციის გადაცემა ჯგუფის სამი აღმასრულებელი პირისთვის. აქციები გადაიგა უფლების გადაცემის სამწლიანი ვადით, რომლის ერთადერთი პირობაც, ორივე შეთხვევაში, უწყვეტი დასაქმებაა. ჯგუფი როგორც გენერალური დირექტორის, ისე სხვა აღმასრულებელი პირებისთვის, წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2016 წლის 15 თებერვალს. ჯგუფის შეფასებით, გადაცემული აქციების სამართლიანი ღირებულება წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის იყო 6.28 ლარი ერთ აქციაზე. სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის საბაზრო ფასების საფუძველზე. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქციებზე უფლების გადაცემა არ მომხდარა.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. წილობრივი ინსტრუმენტების კომპენსაცია (გაგრძელება)

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG) კომპენსაციის სქემა (გაგრძელება)

2015 წლის იანვარში ჯგუფის გენერალურმა დირექტორმა და მოადგილეებმა ხელი მოაწერეს ხუთწლიან შეთანხმებას ფიქსირებული პირობითი წილობრივი კომპენსაციის თაობაზე საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის 1,670,000 ჩვეულებრივ აქციაზე. თითოეული აღმასრულებლისთვის განკუთვნილი აქციების მთლიანი რაოდენობა გაიცემა ხუთ თანაბარ ნაწილად ხუთი თანმიმდევრული წლის განმავლობაში 2017 წლის იანვრიდან, საიდანაც თითოეული განაცემი დაექვემდებარება უფლების გადაცემის ოთხწლიან ვადას, რა დროსაც აქციების 20% პირველი სამი წლის განმავლობაში გაიცემა, ხოლო აქციების 40% - მეოთხე წლის განმავლობაში. ჯგუფი გენერალური დირექტორისა და მოადგილეებისთვის, წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად, შესაბამისად, მიიჩნევს 2015 წლის 1 იანვარსა და 2015 წლის 29 აპრილს. ჯგუფის შეფასებით, გადაცემული აქციების სამართლიანი ღირებულება წილობრივი უფლებების მინიჭების შესაბამისი თარიღისთვის იყო 2.18 ლარი ერთ აქციაზე. შესაბამისი სამართლიანი ღირებულებები შეფასდა შეფასების სათანადო მეთოდების გამოყენებით, საბაზრო და შემოსავლის მეთოდებზე დაყრდნობით. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქციებზე უფლების გადაცემა არ მომხდარა.

ბიჯეოს კომპენსაციის სქემა

2015 წლის მარტში ბიჯეოს დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა ბიჯეოს 24,576 ჩვეულებრივი აქციის გადაცემა ჯგუფის ოთხი აღმასრულებელი პირისთვის. აქციები გადაიცა უფლების გადაცემის სამწლიანი ვადით, რომლის ერთადერთი პირობაც უწყვეტი დასაქმება იყო. ჯგუფი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2015 წლის 19 მარტს. ჯგუფის შეფასებით, 2015 წლის მარტში გადაცემული აქციების სამართლიანი ღირებულება იყო 57.41 ლარი ერთ აქციაზე. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის საბაზრო ფასების საფუძველზე. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაცემული აქციების მესამედზე წილობრივი უფლებები გადაცემულია.

29. კაპიტალის მართვა

მართული კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, დამატებით შეტანილი კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი, გადაფასებული და სხვა რეზერვებისგან და არასაკონტროლო პაკეტებისგან. ჯგუფს განსაზღვრული აქვს კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პრინციპები და იმ რისკების მართვის მეთოდები, რომლებიც მისი კაპიტალის მდგომარეობაზე მოქმედებს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- ჯგუფის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით აქციონერებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს აქციონერთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და აქციონერების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30. რისკის მართვა

შესავალი

ჯგუფის საქმიანობისთვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი, და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. რისკის მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის რენტაბელურობისათვის და ჯგუფის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში. ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები. მისთვის ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკები.

რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორებიცაა გარემო პირობების, ტექნოლოგიების და ინდუსტრიის ცვლილებების რისკები. მათი კონტროლი ხდება ჯგუფისა და მშობელი კომპანიის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესით.

რისკების მართვის სტრუქტურა

დირექტორთა საბჭო

2016 წლისა და 2015 წლის განმავლობაში, მშობელი კომპანიის დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობა იყო ევექსის შესაბამისი კომპონენტების მთლიანი რისკის პროცესის რეგულარული ზედამხედველობა და მართვა მოვალეობების გადანაწილებით, სხვადასხვა აღმასრულებელი კომიტეტების შექმნით, რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების, ასევე შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებითა და დანერგვით, შესაბამისი დეპარტამენტებისა და კომიტეტების მიერ მათი განხორციელებისა და საქმიანობის შედეგების შეფასებით.

შიდა აუდიტი

2016 წლისა და 2015 წლის განმავლობაში მთელი ჯგუფის მასშტაბით რისკების მართვის პროცესებს ყოველწლიურად ამოწმებდა შიდა აუდიტის განყოფილება, რომელიც აფასებდა როგორც პროცედურების ადეკვატურობას, ისე ჯგუფის მიერ ამ პროცედურების დაცვას. შიდა აუდიტი განიხილავს შეფასებების შედეგებს ხელმძღვანელობასთან და მოახსენებს შედეგებსა და რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის მეშვეობით.

რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა

ჯგუფის რისკები ფასდება ისეთი მეთოდით, რომელიც განიხილავს როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში მოსალოდნელ დანაკარგს, ისე გაუთვალისწინებელ დანაკარგებს, რომელიც წარმოადგენს პროგნოზირების სხვადასხვა მოდელის საფუძველზე ნავარაუდევ რეალურ ზარალს. მეთოდი ალბათობებს იყენებს ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომლებიც დაკორექტირებულია ეკონომიკური გარემოს გასათვალისწინებლად. ჯგუფი სამ სხვადასხვა ძირითად სცენარს განიხილავს, საიდანაც ერთი არის საბაზო სცენარი (ანუ პროგნოზი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში), ხოლო დანარჩენი ორი არის პრობლემური და კრიზისული სცენარები, რომლებიც შესაბამისად წარმოადგენენ უფრო ცუდ და ყველაზე ცუდ შემთხვევებს და უკიდურესი და ნაკლებად სავარაუდო მოვლენების დადგომისას არის მოსალოდნელი.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა (გაგრძელება)

რისკების მონიტორინგი და კონტროლი უმთავრესად ხორციელდება ჯგუფის მიერ დადგენილ ლიმიტებზე დაყრდნობით. ეს ლიმიტები ასახავს ჯგუფის ბიზნეს სტრატეგიას, საბაზრო გარემოს და მისთვის მისაღებ რისკის დონეს, ამავდროულად განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება შერჩეულ დარგებზე. გარდა ამისა, ჯგუფი მონიტორინგს უწევს და აფასებს რისკის დასაშვებ დონეს რისკის ყველა ტიპისა და ღონისძიების გათვალისწინებით.

ყველა საქმიანობიდან მიღებული ინფორმაცია მოწმდება და მუშავდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადრეული რისკების განსაზღვრა, ანალიზი და კონტროლი. ამ ინფორმაციის წარდგენა და განმარტება ხდება მშობელი კომპანიის დირექტორთა საბჭოსთვის და თითოეული ბიზნეს განყოფილების ხელმძღვანელისთვის. ანგარიშები ასახავს აგრეგირებულ დაუფარავ დებიტორულ ანგარიშებსა და კრედიტებს, მათ ლიმიტებს, ამ ლიმიტებიდან გამონაკლისებს, ლიკვიდურობის კოეფიციენტებსა და ლიკვიდურობის ლიმიტებს, საბაზრო რისკის კოეფიციენტებს და მათ ლიმიტებს და ცვლილებებს რისკის პროფილში. მშობელი კომპანიის წამყვანი ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აფასებს ლიკვიდურობის დონეების, საკრედიტო პოზიციების, დებიტორული ანგარიშების პოზიციებისა და გაუფასურების რეზერვის მართებულობას. მშობელი კომპანიის დირექტორთა საბჭო თვეში ერთხელ იღებს რისკის ამომწურავ ანგარიშს. ამ ანგარიშებში ჯგუფის რისკების შეფასებისა და მათზე დასკვნების გამოტანისთვის საჭირო სრული ინფორმაცია წარმოდგენილი.

რისკის შემცირება

მთლიანი რისკის მართვის ფარგლებში ჯგუფი იყენებს წარმოებულ და სხვა ინსტრუმენტებს, რომ მართოს წმინდა სავალუტო პოზიციის, საპროცენტო განაკვეთებისა და საკრედიტო რისკები.

ჯანდაცვის მომსახურების მიმღები ფიზიკური პირების მიმართ ჯგუფი აქტიურად იყენებს ერთობლივი ფინანსური პასუხისმგებლობის მიდგომას, რომელიც წარმოიშობა ჯანდაცვის მომსახურების გაწევისას ისეთი ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც თავად იხდიან მომსახურების ღირებულებას. ამ მიდგომის მიზანია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებს გარეთ გაწეული ჯანდაცვის მომსახურების მიმღები შესაბამისი დებიტორების მართვა.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება. ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული კონტრაქტების, ასევე პროდუქტებისა და ვალუტების კონცენტრაციებისთვის, და რისკების ამ ლიმიტებთან დაცვის მონიტორინგით. გარდა ამისა, ჯგუფი აწესებს და რეგულარულად აკონტროლებს კრედიტის ვადებს დებიტორების ტიპების მიხედვით, რაც საკრედიტო რისკის მართვის პროაქტიული ხერხია.

ჯგუფმა შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რომ უზრუნველყოს კონტრაქტების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. ეს მოიცავს სესხის დაფარვისა და მისაღები დავალიანების ვადების სისტემატურ ანალიზს. კონტრაქტის ლიმიტების დადგენა ხდება კრედიტის პირობებთან ერთად.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი ჯგუფს საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით

ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგი ჯგუფის მიერ იმართება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვადასხვა კლასის აქტივების საკრედიტო ხარისხი.

	შენიშვნები	არც	ვადაგადაცილებული,	გაუფასურებელი	სულ
		ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებელი	მაგრამ არა გაუფასურებელი		
		31 დეკემბერი, 2016 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	7	56,987	16,419	24,214	97,620
სხვა აქტივები: წარმოებული ფინანსური აქტივები	11	6,277	-	-	6,277
სხვა აქტივები: გაცემული სესხები და საიჯარო ანაბარი	11	20,995	-	-	20,995
სხვა აქტივები: არასამედიცინო საქმიანობიდან მისაღები ანგარიშები	11	1,354	1,010	3,235	5,599
სულ		85,613	17,429	27,449	130,491

	შენიშვნები	არც	ვადაგადაცილებული,	გაუფასურებელი	სულ
		ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებელი	მაგრამ არა გაუფასურებელი		
		31 დეკემბერი, 2015 წ.	31 დეკემბერი, 2015 წ.	31 დეკემბერი, 2015 წ.	31 დეკემბერი, 2015 წ.
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	7	32,400	12,604	34,173	79,177
გაცემული სესხები	11	-	3,931	-	3,931
სხვა აქტივები: არასამედიცინო საქმიანობიდან მისაღები ანგარიშები	11	-	-	4,501	4,501
სულ		32,400	16,535	38,674	87,609

კატეგორია „ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული“ მოიცავს მოთხოვნებსა და ფინანსურ აქტივებს, რომლებიც ვადაგადაცილებულია მაქსიმუმ 30 დღით ან ვადაგადაცილებულია 30 დღეზე მეტი ხნით, მაგრამ არ არის გაუფასურებული ობიექტური მიზეზების გამო. სხვა შემთხვევაში, ის მოთხოვნები და ფინანსური აქტივები, რომლებიც ვადაგადაცილებულია 30 დღეზე მეტი ხნით, გაუფასურებულად

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით (გაგრძელება)

ითვლება. გაუფასურებული სესხების შესაფასებლად ჯგუფი არ იყენებს საკრედიტო რეიტინგის სისტემას. შესაბამისად, გაუფასურების ხარჯები და რეზერვი ეყრდნობა ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას და წარსულ გამოცდილებას ვადაგადაცილების თითოეული კატეგორიის მიხედვით.

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ყველა თავისი ფინანსური ვალდებულების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა თავისი კაპიტალის გარდა იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდურობის გათვალისწინებით და რეგულარულ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდურობას. ეს მოიცავს მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და ლიკვიდურობის საჭიროების ყოველდღიურ მონიტორინგს.

ჯგუფი მართავს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობას მათი უკეთესად დაბალანსებისთვის, რაც მას ეხმარება ლიკვიდურობის რისკის კიდევ უფრო შემცირებაში. ჯგუფის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი ლიკვიდურობის რისკები არის მისი ხელმისაწვდომი ფულადი რესურსების ყოველდღიური საჭიროება მომწოდებლებთან გაფორმებული კონტრაქტების და ნასესხები სახსრების დაფარვის ვადის მოსვლის გამო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი. აქტივები და ვალდებულებები დაჯგუფებულია ვადიანობის მიხედვით, ანგარიშგების დღისთვის ხელშეკრულების ამოწურვის ან დაფარვის მოსალოდნელ თარიღამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად.

31 დეკემბერი, 2016 წ.	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11,177	–	11,177
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	86,590	–	86,590
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	14,712	–	14,712
გადახდილი ავანსები	–	24,914	24,914
ძირითადი საშუალებები	–	560,280	560,280
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	–	34,512	34,512
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები	889	–	889
სხვა აქტივები	14,576	16,324	30,900
სულ აქტივები	127,944	636,030	763,974
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	33,040	–	33,040
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	14,150	–	14,150
აქციების შესყიდვებზე გადასახდელი ანგარიშები	347	2,850	3,197
ნასესხები სახსრები	34,417	121,760	156,177
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	36,024	–	36,024
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	14,878	–	14,878
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	257	–	257
სხვა ვალდებულებები	6,676	–	6,676
სულ ვალდებულებები	139,789	124,610	264,399
ნეტო პოზიცია	11,845	511,420	499,575
აუთენტიფიცირებული გეპი	11,845	499,575	

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

<i>31 დეკემბერი, 2015 წ.</i>	<i>ერთ წელზე ნაკლები</i>	<i>ერთ წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	51,034	–	51,034
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	71,348	–	71,348
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10,791	–	10,791
გადახდილი ავანსები	–	6,118	6,118
ძირითადი საშუალებები	–	437,360	437,360
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	–	19,708	19,708
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები	806	–	806
სხვა აქტივები	14,958	–	14,958
სულ აქტივები	148,937	463,186	612,123
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	34,665	–	34,665
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	17,679	–	17,679
აქციების შესყიდვებზე გადასახდელი ანგარიშები	22,075	–	22,075
ნასესხები სახსრები	6,427	98,474	104,901
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	993	34,544	35,537
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	5,227	–	5,227
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	–	17,631	17,631
სხვა ვალდებულებები	6,033	–	6,033
სულ ვალდებულებები	93,099	150,649	243,748
ნეტო პოზიცია	55,838	312,537	368,375
აკუმულირებული გეპი	55,838	368,375	

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფის ლიკვიდურობის არსებული დონე საკმარისია ყველა მისი მიმდინარე ვალდებულების შესასრულებლად და დავალიანების დროულად დასაფარად.

ჯგუფი ასევე აბალანსებს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ვადებს და უარყოფით გეპებზე მაქსიმალურ ლიმიტს აწესებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა.

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

<i>31 დეკემბერი, 2016 წ.</i>	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
კრედიტორული დავალიანება	33,040	–	–	–	33,040
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	14,150	–	–	–	14,150
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	–	38,364	–	–	38,364
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	9,436	5,653	–	–	15,089
ნასესხები სახსრები	11,717	26,845	121,623	30,872	191,057
სხვა ფინანსური ვალდებულებები	6,676	–	–	–	6,676
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	75,019	70,862	121,623	30,872	298,376

<i>31 დეკემბერი, 2015 წ.</i>	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
კრედიტორული დავალიანება	34,665	–	–	–	34,665
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	17,679	–	–	–	17,679
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	–	3,413	37,630	–	41,043
ნასესხები სახსრები	10,943	21,330	93,891	13,153	139,317
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,295	–	–	–	5,295
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	68,582	24,743	131,521	13,153	237,999

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ფაქტორების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და უცხოური ვალუტის კურსების მერყეობის შედეგად.

ჯგუფს აქვს საბაზრო რისკები. ჯგუფი მისთვის მისაღები საბაზრო რისკის დონეების სტრუქტურირებას ახდენს ჯგუფის საბაზრო რისკის პოლიტიკის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს იმას, თუ რა წარმოადგენს ჯგუფისთვის საბაზრო რისკს.

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულადი სახსრების ნაკადზე. ჯგუფს აქვს LIBOR-სა და სებ-ის მოკლევადიანი სესხის რეფინანსირების განაკვეთებზე მიბმული ნასესხები სახსრები და ამიტომ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი.

	<i>31 დეკემბერი, 2016 წ.</i>			<i>31 დეკემბერი, 2015 წ.</i>		
	<i>აშშ</i>		<i>ევრო</i>	<i>აშშ</i>		<i>ევრო</i>
	<i>ლარი</i>	<i>დოლარი</i>		<i>ლარი</i>	<i>დოლარი</i>	
ნასესხები სახსრები	10.68%	5.22%	12.0%	14.23%	14.00%	12.0%

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის მგრძობელობა არის საპროცენტო განაკვეთის დასაშვები ცვლილების ეფექტი წლის საპროცენტო ხარჯზე. 2016 წლისა და 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში მგრძობელობის ანალიზს არ გამოუვლენია რამე მნიშვნელოვანი პოტენციური გავლენა ჯგუფის კაპიტალზე. მოცემული ცხრილი ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის მგრძობელობას საპროცენტო განაკვეთის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიმართ, როდესაც სხვა ცვლადები უცვლელია:

<i>ვალუტა</i>	<i>ზრდა საბაზისო ერთეულში 31 დეკემბერი, 2016 წ.</i>	<i>საპროცენტო ბარჯების მგრძობელობა 31 დეკემბერი, 2016 წ.</i>
ლარი	+4.00%	2,845
აშშ დოლარი	+0.48%	392

<i>ვალუტა</i>	<i>ზრდა საბაზისო ერთეულში 31 დეკემბერი, 2016 წ.</i>	<i>საპროცენტო ბარჯების მგრძობელობა 31 დეკემბერი, 2016 წ.</i>
ლარი	-4.00%	(2,845)
აშშ დოლარი	-0.48%	(392)

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი (გაგრძელება)

	<i>ზრდა საბაზისო ერთეულში 31 დეკემბერი, 2015 წ.</i>	<i>საპროცენტო ხარჯების მგრძობელობა 31 დეკემბერი, 2015 წ.</i>
<i>ვალუტა</i>		
ლარი	+4.00%	3,485

	<i>ზრდა საბაზისო ერთეულში 31 დეკემბერი, 2015 წ.</i>	<i>საპროცენტო ხარჯების მგრძობელობა 31 დეკემბერი, 2015 წ.</i>
<i>ვალუტა</i>		
ლარი	-4.00%	(3,485)

სავალუტო რისკი

ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე მოქმედებს სავალუტო კურსების მერყეობა. ჯგუფის ძირითადი გარიგებები ლარში ხორციელდება და სავალუტო რისკი ძირითადად აშშ დოლართან მიმართებაში აქვს.

ჯგუფის ფინანსური აქტივები ძირითადად გამოხატულია იმავე ვალუტაში, რაშიც მისი ვალდებულებები, კერძოდ, ჯგუფის კომპანიების სამუშაო ვალუტაში - ლარში. ჯგუფის ოპერაციების უმეტესობაც ლარშია გამოხატული. ეს ამცირებს ოპერაციებთან დაკავშირებულ სავალუტო რისკს. სავალუტო რისკს ძირითადად განაპირობებს აშშ დოლარში გამოხატული ნასესხები სახსრები, რომლებიც ნაწილობრივ ჰეჯირებულია ბანკებში განთავსებული ფულადი ანაბრებით, რომლებიც ასევე აშშ დოლარშია გამოხატული და სავალუტო ფორვარდული კონტრაქტებით ჯგუფის კონტრაქტებთან. ჯგუფი ასევე ახდენს თავისი ძირითადი საშუალებებიდან გასასხვისებლად განკუთვნილი ორი მათგანის სავალუტო რისკის კომპონენტის ჰეჯირებას უცხოურ ვალუტაში გამოხატული ნასესხები სახსრების მეშვეობით (მე-3 შენიშვნა). ჰეჯირება სრულად ამოქმედდა 2016 წელს. უცხოური ვალუტის მერყეობის (მოგების) მთლიანმა ჰეჯირებულმა თანხამ შეადგინა 1,986 ლარი როგორც ჰეჯირებულ მუხლებზე, ისე ჰეჯირების ინსტრუმენტზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ის ვალუტები, რომლებშიც გამოხატულ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებზე ჯგუფს 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი რისკი ჰქონდა. ანალიზი გამოითვლის ლართან მიმართებაში სავალუტო კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი მერყეობის გავლენას, როდესაც ყველა სხვა ცვლადი მუდმივია მოგებაში ან ზარალში. ცხრილში უარყოფითი თანხა ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას მოგებაში ან ზარალში, ხოლო დადებითი თანხა ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

	<i>31 დეკემბერი, 2016 წ.</i>			
	<i>აშშ</i>			
	<i>ლარი</i>	<i>დოლარი</i>	<i>ევრო</i>	<i>სულ</i>
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,857	4,227	93	11,177
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	86,590	–	–	86,590
სხვა აქტივები: გაცემული სესხები და საიჯარო ანაზარი	3,924	17,071	–	20,995
სულ ფულადი აქტივები	97,371	21,298	93	118,762
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	33,040	–	–	33,040
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	14,150	–	–	14,150
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	–	36,024	–	36,024
ნასესხები სახსრები	70,337	81,754	4,086	156,177
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	–	14,878	–	14,878
სხვა ვალდებულებები	4,829	1,847	–	6,676
სულ ფულადი ვალდებულებები	122,356	134,503	4,086	260,945
ნეტო ფულადი პოზიცია, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გათვალისწინებამდე	(24,985)	(113,205)	(3,993)	(142,183)
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	(99,595)	105,872	–	6,277
ჰეჯირების აღრიცხვის პოზიცია	–	15,629	–	15,629
ნეტო ფულადი პოზიცია, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გათვალისწინებით	(124,580)	8,296	(3,993)	(120,277)
სავალუტო კურსის პროცენტული ზრდა ეფექტი მოგებაზე მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		+13.4%	+10.4%	
		1,112	(415)	
სავალუტო კურსის პროცენტული შემცირება ეფექტი მოგებაზე მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		-13.4%	-10.4%	
		(1,112)	415	

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

	<i>31 დეკემბერი, 2015 წ.</i>			
	<i>აშშ</i>			
	<i>ლარი</i>	<i>დოლარი</i>	<i>ევრო</i>	<i>სულ</i>
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	49,443	1,588	3	51,034
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	71,348	–	–	71,348
სხვა აქტივები: გაცემული სესხები	–	3,931	–	3,931
სხვა აქტივები: არასამედიცინო საქმიანობიდან მისაღები ანგარიშები	4,501	–	–	4,501
სულ ფულადი აქტივები	125,292	5,519	3	130,814
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	34,665	–	–	34,665
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	17,679	–	–	17,679
აქციების შესყიდვებზე გადასახდელი ანგარიშები	562	21,513	–	22,075
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	–	35,537	–	35,537
ნასესხები სახსრები	91,175	11,109	2,617	104,901
სხვა ვალდებულებები	6,033	–	–	6,033
სულ ფულადი ვალდებულებები	150,114	68,159	2,617	220,890
ნეტო ფულადი პოზიცია	(24,822)	(62,640)	(2,614)	(90,076)
სავალუტო კურსის პროცენტული ზრდა ეფექტი მოგებაზე მოგების გადასახადით დაბეგრამდე		+13.9%	+13.6%	
		(8,738)	(356)	
სავალუტო კურსის პროცენტული შემცირება ეფექტი მოგებაზე მოგების გადასახადით დაბეგრამდე		-13.9%	-13.6%	
		8,738	356	

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკის სამართავად ჯგუფი იყენებს სავალუტო ფორვარდულ კონტრაქტებს. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა 40 მილიონი აშშ დოლარის პირობითი ღირებულების უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტი.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ჯგუფი ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა კონტროლის სისტემის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგითა და მათზე რეაგირებით, ჯგუფი ახერხებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, შედგენადობის, ავტორიზაციისა და გადასინჯვის პროცედურებს, თანამშრომლების სპეციალიზირებასა და შიდა აუდიტს.

30. რისკის მართვა (გაგრძელება)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

ჯგუფის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. რადგანაც ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არა აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, რომლებიც, როგორც წესი, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (იმ რისკის ჩათვლით, რომ ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას ქვეყნის გარეთ, ასევე მხედველობაშია მისაღები განუვითარებელი სასესხო და კაპიტალის ბაზრები). თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმებთან მიმართებაში, რაც ზოგადად პოზიტიურ გავლენას ახდენს საინვესტიციო კლიმატზე. მათ შორისაა ახალი კანონმდებლობის მიღება (ახალი საგადასახადო კოდექსისა და პროცესუალური კანონების ჩათვლით). დირექტორთა საბჭოს აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნეს რისკებს საქართველოში.

აღნიშნული ტენდენცია მიზნად ისახავს არსებული ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას. ქართული ეკონომიკის მომავალი მდგრადობა ბევრადაა დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს მსოფლიო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების ტემპის შენელება.

31. სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების იერარქია

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ჯგუფმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების მიხედვით. ჯგუფი შემდეგ იერარქიას იყენებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და აღრიცხვისთვის:

- დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკოტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- დონე 2: მეთოდი, რომლისთვისაც გამოყენებული ყველა ამოსავალი მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე, არის პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრადი; და
- დონე 3: მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება ამოსავალი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და არ ეყრდნობიან საბაზრო მონაცემებს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია იმ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული ან რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით. მასში ასევე შესულია ჯგუფის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში. ცხრილი არ მოიცავს არაფინანსური აქტივებისა და არაფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს:

31. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

	<i>დონე 1</i>	<i>დონე 2</i>	<i>დონე 3</i>	<i>სულ სამართლიანი ღირებულება 31 დეკემბერი, 2016 წ.</i>	<i>საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი, 2016 წ.</i>	<i>აუღიარებელი მოგება (ზარალი) 31 დეკემბერი, 2016 წ.</i>
სამართლიანი ღირებულებით						
შეფასებული აქტივები						
ძირითადი საშუალებები	-	-	401,659	401,659	401,659	-
სხვა აქტივები: წარმოებული ფინანსური აქტივები	-	6,277	-	6,277	6,277	-
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	11,177	-	11,177	11,177	-
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	-	-	86,590	86,590	86,590	-
სხვა აქტივები: არასამედიცინო საქმიანობიდან მისაღები ანგარიშები	-	-	5,599	5,599	5,599	-
სხვა აქტივები: გაცემული სესხები და საიჯარო ანაზარბი	-	-	20,995	20,995	20,995	-
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ნასესხები სახსრები	-	-	144,622	144,622	156,177	11,555
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	37,546	37,546	36,024	(1,522)
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	-	-	14,878	14,878	14,878	-
	<i>დონე 1</i>	<i>დონე 2</i>	<i>დონე 3</i>	<i>სულ სამართლიანი ღირებულება 31 დეკემბერი, 2015 წ.</i>	<i>საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი, 2015 წ.</i>	<i>აუღიარებელი მოგება (ზარალი) 31 დეკემბერი, 2015 წ.</i>
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	51,034	-	51,034	51,034	-
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	-	-	71,348	71,348	71,348	-
სხვა აქტივები: არასამედიცინო საქმიანობიდან მისაღები ანგარიშები	-	-	4,501	4,501	4,501	-
სხვა აქტივები: გაცემული სესხები	-	-	3,931	3,931	3,931	-
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ნასესხები სახსრები	-	-	104,559	104,559	104,901	342
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	36,554	36,554	35,537	(1,017)

31. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

ჯგუფი საავადმყოფოებსა და კლინიკებს სამართლიანი ღირებულებით აღრიცხვას (მე-3 დონე). საწყისი და საბოლოო ნაშთების შეჯერება მე-8 შენიშვნაშია წარმოდგენილი.

ქვემოთ აღწერილია შეფასების ხერხებით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისა და ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა: ჯგუფმა გამოიყენა ის დაშვებები, რომლებსაც, ჯგუფის აზრით, დაეყრდნობიან ბაზრის მონაწილეები ინსტრუმენტის შეფასების დროს.

ძირითადი საშუალებები

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ქონება შედგება საავადმყოფოებისა და კლინიკებისგან. მათთვის სამართლიანი ღირებულება მიიღება გარკვეული ამოსავალი მონაცემებით, რომლებიც არ ეყრდნობა ბაზარზე მოპოვებად ინფორმაციას. ამ აქტივების ღირებულება განისაზღვრება საბაზრო მიდგომით. საბაზრო მეთოდი იყენებს მსგავს ან შედარებად მიწასა და შენობა-ნაგებობებზე საბაზრო გარიგებების ფასებს ან სხვა აქტუალურ ინფორმაციას, შესაბამისად.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია აქტიური ბაზრის მონაცემების გამოყენებით, მოიცავს ფორვარდულ სავალუტო კონტრაქტებს. შეფასების გამოყენებული მეთოდი ფორვარდული ფასწარმოქმნის მოდელი, დღევანდელი ღირებულების გამოთვლის გამოყენებით. მოდელი იყენებს სხვადასხვა ამოსავალ მონაცემს, მათ შორის, სავალუტო სპოტ და ფორვარდულ კურსებს.

ძირითად დაშვებებში მომხდარი ცვლილებების გავლენა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მე-3 დონის აქტივების სამართლიან ღირებულებაზე

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული მე-3 დონის ძირითადი საშუალებები

	31 დეკემბერი, 2016 წ.	მნიშვნელოვანი არასაბაზრო ამოსავალი მონაცემები		სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია		ამოსავალი მონაცემების მგრძობელობა სამართლიანი ღირებულების მიმართ
		შეფასების მეთოდები	დიაპაზონი	დიაპაზონი	დიაპაზონი	
ძირითადი საშუალებები	401,481	საბაზრო მეთოდი	ფასი ერთი	3-1,106	კვადრატული მეტრისთვის, შენობა	151-30,700
სავადმყოფოები და კლინიკები			კვადრატული მეტრისთვის, მიწა, შენობა			კვ.მ.-ის ფასის გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას)

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

31. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

მიიჩნევა, რომ იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), აგრეთვე სახელმწიფოს მიმართ ყველა მოკლევადიანი მოთხოვნის საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება ეხება ცვლადი განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებსაც.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებისა და მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე დეპოზიტების სამართლიანი ღირებულება ფასდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის მიხედვით, ფულის ბაზრის არსებული საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის სესხებისათვის.

32. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე, ან ტუ მხარეები ერთი და იმავე ჯგუფის შვილობილი კომპანიებია. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

32. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	<u>31 დეკემბერი, 2016 წ.</u>			<u>31 დეკემბერი, 2015 წ.</u>		
	<i>მშობელი კომპანია*</i>	<i>საერთო კონტროლს დაქვემდებარებული ლი საწარმოები**</i>	<i>სხვა***</i>	<i>მშობელი კომპანია*</i>	<i>საერთო კონტროლს დაქვემდებარებული ლი საწარმოები**</i>	<i>სხვა***</i>
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	7,268	-	91,538	-	-
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	-	4,663	-	-	5,485	-
სხვა აქტივები: არასამედიცინო საქმიანობიდან მისაღები ანგარიშები	-	1,010	-	-	3,742	-
სხვა აქტივები: წარმოებული ფინანსური აქტივები	-	6,277	-	-	-	-
სხვა აქტივები: გაცემული სესხები და საიჯარო ანაბარი	16,324	1,999	2,547	-	-	3,931
გადახდილი ავანსები	-	450	-	1,272	-	-
სხვა აქტივები	-	17	-	1,187	23	-
	<u>16,324</u>	<u>21,684</u>	<u>2,547</u>	<u>93,997</u>	<u>9,250</u>	<u>3,931</u>
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	-	37,495	-	34,618	4,174	-
კრედიტორული დავალიანება	-	2,711	-	741	229	-
სხვა ვალდებულებები	-	1,916	-	-	641	-
	-	<u>42,122</u>	-	<u>35,359</u>	<u>5,044</u>	-
				<i>2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის</i>		
				<i>საერთო კონტროლს დაქვემდებარებული ლი საწარმოები**</i>		
	<i>მშობელი კომპანია*</i>		<i>სხვა***</i>	<i>მშობელი კომპანია*</i>	<i>საერთო კონტროლს დაქვემდებარებული ლი საწარმოები**</i>	<i>სხვა***</i>
შემოსავალი და ხარჯები						
შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	-	10,453	-	-	7,432	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	-	(572)	-	-	-	-
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	-	(1,738)	-	-	-	-
საპროცენტო შემოსავალი	-	543	-	-	-	901
საპროცენტო ხარჯი	-	(5,102)	-	(10,897)	(244)	-
უცხოური ვალუტებიდან მიღებული წმინდა მოგება	-	6,277	-	-	-	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	65	-	-	-	318
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	-	-	-	-	(423)
	-	<u>9,926</u>	-	<u>(10,897)</u>	<u>7,188</u>	<u>796</u>

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“

2016 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

32. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

- * 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მშობელი კომპანია მოიცავს სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ბიჯეო ჯგუფის“ ფინანსურ მონაცემებს. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მშობელი კომპანია მოიცავს სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“, ბიჯეოსა და სს „საქართველოს ბანკის“ ფინანსურ მონაცემებს.
- ** საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები არიან ბიჯეო ჯგუფის შვილობილი კომპანიები.
- *** 2016 წელს სხვა დაკავშირებული მხარეები იყვნენ უმცირესობის წილის მფლობელები გნვო-ში, მეკავშირე კომპანია გეოლაბი და ანგარიშგების პერიოდის შემდგომ შეძენილი საწარმო „ეი-ბი-სი ფარმაცია“; 2015 წელს სხვა დაკავშირებული მხარე იყო ერთი საწარმო, რომელსაც ჯგუფი მართვის მომსახურებას უწევდა.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება ასე გამოიყურება:

	<i>2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ ლი წლისათვის</i>	<i>2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ ლი წლისათვის</i>
ხელფასები და ნაღდი ფულით გაცემული პრემიები	2,026	1,716
წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია	2,838	799
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	4,864	2,515

33. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფასს 15-ის მიღება

2017 წლის 1 იანვარს ჯგუფმა მიიღო ფასს 15 მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენების მეთოდის გამოყენებით. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მე-3 შენიშვნა.

შპს №5 კლინიკური საავადმყოფო

2017 წლის 30 იანვარს მშობელმა კომპანიამ - საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფმა შპს „№5 კლინიკური საავადმყოფო“-ში 35%-იანი წილი ევექსს გადასცა. ამის შედეგად საწარმო გახდა ევექსის მეკავშირე საწარმო. შპს „№5 კლინიკური საავადმყოფო“ არის მრავალპროფილიანი კლინიკა და ფუნქციონირებს საქართველოს დედაქალაქ თბილისში.